პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი
2
სექტემბერი
1937 წ.
№ 200 (5001)

დღეს გაზეთშია:

— ვისწავლოთ ბეჯითად, ვისწავლოთ ფრიადზე! (მთ. წინავე)
— თავთავიანი კულტურების აღება (ნაკრები ცნობა).
— ბოლშევიკური იდეურობა და პედაგოგიური ოსტატობა („პრავდის“ მთ. წინავე).
— ლევანევსკის თვითმფრინავის საძებნელად
— დ. ლაშარინი — საჭართველოს მსუბუქი მრეწველობა კვლავ ჩამორჩენილია (ფელეტონი)
— ესპანეთის ფრონტებზე
— სამხედრო მოქმედება ჩინეთში.
— ჩან კაი-შის ინტერვიუ რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან.

ერთვნული ბიბლიოთეკა

ვისწავლოთ ბეჯითად, ვისწავლოთ ფრიადზე!

მზიანი და ბედნიერი ქვეყნის უბედნიერესმა თაობამ კვლავ სიხარულითა და ხალისით შეიარა საბჭოთა სკოლის კარები. ზაფხულის განმავლობაში ეს თაობა კულტურულად, ყოველმხრივ უზრუნველყოფილად ისვენებდა, ერთობოდა, ჯანსაღდებოდა ჩვენი საბრძოლოს სანიმუშოდ მოწყობილ, ჰავითა და სილამაზით განთქმულ კურორტებზე, მოწაფეთათვის გახსნილ დასასვენებელ სახლებში, ბანაკებში და პიონერბანაკებში.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა თავისი ნორჩებისთვის ამზადებდა სკოლებს, პარტებს, დაფებს, სასწავლო ნივთებს. სტამბებში გამალებით აწყობდნენ, ჰკინძავდნენ სტაბილურ სახელმძღვანელოებს, ახალ წიგნებს, რვეულებს. სასწავლო ნივთების საწარმოები გადატვირთული იყვნენ, ვერ აუდიოდნენ კალმისტარების, კალმების, ფანქრების, მელნის, ქიმიური რეაქტივების, რუკების, გლობუსებისა და სასკოლო კაბინეტების მოწყობილობათა დამზადებას.

სწავლის სურვილით აღგზნებულ მოზარდებს ყველაფერი მზად დავხვედროთ — ეს იყო და არის განათლების ორგანოების, სკოლების, მასწავლებელთა და საერთოდ განათლების დარგის ყველა მუშაკის ყოველდღიური საბრძოლო ამოცანა. ამის განხორციელებისათვის არ დაუზოგავთ ენერგია, თანხა, მონდომება.

და, გუშინ დილიდანვე ბედნიერი თაობა, რომელზედაც მთელი ჩვენი ქვეყანა ზრუნავს, რომლის კეთილდღეობა და საამური ცხოვრება გამოსჭედა ახალი თაობისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა უდიდესმა მოამაგემ — დიდმა სტალინმა, — ეს თაობა პირველი ზარის დაწკრიალებისთანავე ერიამულითა და სიცილ-კისკისით შევიდა სკოლაში.

აქ მათ ყველაფერი განახლებული და ახალი დახვდათ. ბევრმა ვერც კი იცნო თავისი სკოლა, საკლასო ოთახი—ისე გაუმშვენიერებია ისინი მზრუნველ ხელს. მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება ყველა სკოლაზე. განათლების ორგანოების მოუქნელი მუშაობის გამო საქართველოს ბევრი რაიონი და ცალკეული სკოლა (ჭიათურა, ზესტაფონი, ცხაკაია, ხაშური და სხვ.) მოუმზადებელი შეხვედა მოზღვავებულ მოწაფეობას.

განახლებული ენერგიითა და საქმის სიყვარულით დაუბრუნდა სკოლას საბჭოთა მასწავლებელი, რომელიც გაორმაგებულმა პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობით.

რა დაუჯერებელი და მწარე ზღაპარივით ვიგონებთ დიდი იღლიის მიერ ამ 50 წლის წინათ სიმწრით წარმოთქმულ სიტყვებს: მასწავლებელი „ქვეყნის სიამოვნებას მოაშორებული, ბევრჯერ მწყურვალი, ბევრჯერ სიცივეში, ზოგჯერ რიგიანი სადგურიც არა აქვს, რომ ავდარს მაინც გადაურჩეს გაულახველადო“.

ახლა ჩვენს სახალხო მასწავლებელს ყველა მშრომელთან ერთად ყველაფერი აქვს საამური ცხოვრებისათვის. მან ჩვენს ქვეყანაში, ლენინის ანდერძის შესრულების შედეგად, ისეთ დონეს მიაღწია, რომელზედაც მასწავლებლობა არასოდეს არ მდგარა, არ დგას, არც შეიძლება იდგეს არცერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში.

მაგრამ ჩვენი სამშობლო თავის „ანგარიშებს“ უყენებს მასწავლებლებსა და მოწაფეობას. ეს არის აღზრდა ისეთი მოქალაქეებისა, კომუნიზმის ისეთი მშენებლებისა, რომლებიც ღრმად შეითვისებენ მეცნიერებათა საფუძვლებს, გამსჭვალული იქნებიან საბჭოთა პატრიოტიზმის დიდი გრძნობით, რომელთაც უსაზღვროდ, თავდადებულად ეყვარებათ სოციალისტური სამშობლო, ეყვარებათ დიდი სტალინი—ის ადამიანი, ვინც გამოსჭედა ასეთი საამური და ბედნიერი ცხოვრება, ვისი სახელიც იმედსა და სიხარულს ულვივებს ყველა მშრომელს.

განვაახლეთ რა სწავლა, სახალხო განათლების არცერთ მუშაკს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სკოლის „ძირითადი ნაკლი“, ჩვენი სკოლები მოსწავლე ახალგაზრდობას ჯერ კიდევ ვერ აძლევენ მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნას, ჯერ კიდევ ცუდად ვიბრძვით იმისათვის, რომ განვახორციელოთ საქართველოს ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ბერიას მითითება იმის შესახებ, რომ მოწაფეთა გმირობა და სიძამაცე ფრიადზე სწავლაა.

იმის გამო, რომ მთელ რიგ სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებში მოკალათებული იყვნენ გარეწრები, მავნებლები, ხალხის საზიზღარი მტრები: მ. ტოროშელიძე, მ. ორახელაშვილი, ა. თათაოშვილი, ა. კვირიკაძე, კ. ქაცარავა, შ. გეგენავა და სხვ. ეწეოდნენ რა დამანგრეველ მუშაობას სახალხო განათლების სისტემაში, შეგნებულად აფერხებდნენ მოწაფეთა და მასწავლებელთა პოლიტიკურ აღზრდას, მათს აღჭურვას ლენინ-სტალინის თეორიით. ხალხის მტერმა, გარეწარმა კ. ქაცარავამ მოწაფეთა ინტერნაციონალური აღზრდის „გასაადვილებლად“ მექანიკურად გააერთიანა სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები და ამით ინტერნაციონალური აღზრდის მეტად პასუხსაგები და რთული ამოცანა გადაჭრილად ჩასთვალა.

კამპანიური და ეპიზოდური ხასიათი ეძლეოდა მოწაფეთა ინტერნაციონალურ და ანტირელიგიურ აღზრდას.

კომუნისტური აღზრდის ეს მნიშვნელოვანი საკითხები შეძლებისდაგვარად არ უკავშირდება სასწავლო პროგრამას, მის განუყრელ ნაწილს ჯერ კიდევ არ შეადგენს.

ჩვენი მასწავლებლობა მოსწავლეთა საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით განსამსჭვალავად სათანადოდ ვერ იყენებდა საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავების, მესაზღვრეების, პიონერებისა და მოსწავლეების გმირობისა და თავდადების უამრავ მაგალითებს, რომელთა ბადალი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს და რომლებითაც სავსეა ჩვენი ბედნიერი და საამური ცხოვრების სინამდვილე.

მოწაფეებს ჯერ კიდევ ვერ ვასწავლით, როგორც საჭიროა, დიადი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წარსულს, მის ისტორიას. ამ მხრივ ჩვენს მასწავლებლობას და მოწაფეობას წელს კარგი მდგომარეობა ექნება. მესამე და მეოთხე კლასები მიიღებენ პროფესორ ა. შესტაკოვის რედაქციით შედგენილს, მთავრობის კომისიის ჟიურის მიერ მოწონებულ „სსრკ ისტორიის მოკლე კურსს“, რომლის ქართულად თარგმნა და გამოცემა უნდა დააჩქაროს საქართველოს განსახკომმა.

ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტის — სტალინური კონსტიტუციის სწავლების უნაკლოდ დაყენებისათვის. ასევე ითქმის დედაენისა, გეოგრაფიისა, მათემატიკისა და სხვა საგნების სწავლებაზეც.

განათლების ორგანოების, სკოლების, თვითეული მასწავლებლისა და მოწაფის უპირველესი ამოცანაა აღმოფხვრან მავნებლობის შედეგები, გამოასწორონ გასულ წელს დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, სავსებით მოამზადონ სკოლები და სასწავლო ინვენტარი მოსავალი მეცადინეობისათვის, თავიდანვე იმუშაონ, რათა საბჭოთა სკოლა ყველაზე მაღლა იდგეს, ყველაზე უკეთესი იყოს მთელ მსოფლიოში.

ვიწყებთ რა ახალ სასწავლო წელს მასწავლებლობასა და მოწაფეობას ჩვენ ვეუბნებით: ასწავლეთ და ისწავლეთ, შესძლებით მტრის გამოკრნობა და მისი განადგურება. ერთი წუთითაც არ დაივიწყოთ ხალხთა საყვარელი ბელადის მითითება: „ვისწავლოთ, ვისწავლოთ, ვისწავლოთ ფრიად შეუპოვრად — ასეთია ახლა ამოცანა“.

სსრ კავშირის პროკურატურის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: სსრ კავშირის პროკურატურის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნეს:

ლენინის ორდენით

გ. ვ. როგინსკი — სსრ კავშირის პროკურორის მოადგილე.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. ნ. ს. როზოვსკი — მთავარი სამხედრო პროკურორი.
2. ა. ს. გროდკო — მთავარი სამხედრო პროკურორის თანაშემწე.
3. ს. ი. ულიანოვი — მთავარი სამხედრო პროკურატურის პროკურორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. ლ. რ. შეინინი — სსრ კავშირის პროკურატურის უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომძიებელი.
2. მ. ი. რაგინსკი — სსრ კავშირის პროკურატურის უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომძიებელი.
3. ი. ი. ბარკოვი — დასავლეთ-ციმბირის მხარის პროკურორი.
4. ა. მ. გლუზმანი — სსრ კავშირის პროკურატურის სპეცსაქმეთა განყოფილების პროკურორი.
5. გ. მ. ლებლევსკი — სსრ კავშირის პროკურორის მოადგილე.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ბუქრკინი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 27 აგვისტო.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობებით)

ალვოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობის თანახმად, 31 აგვისტოს, რესპუბლიკელთა ნაწილებმა, განაგრძობდნენ რა ბელჩიტეს გარემოცვას, დაიკავეს სემინარიის შენობა. მეამბოხეთა ავიაცია უშედეგოდ ცდილობდა ყუმბარები დაეშინა რესპუბლიკელთა ნაწილებისათვის, რომელთაც გარემოიცვეს ბელჩიტე.

ტერუელის სექტორში რესპუბლიკელებმა საარტილერიო სამზადისის შემდეგ 31 აგვისტოს დაიკავეს სიმაღლეები 1.173 და 1.123 (სანტა-ბარბარას სიმაღლის სამხრეთით). ტყვე ჯარისკაცთა ჩვენების თანახმად, ესპანელ მეამბოხეებს ამ ბრძოლებში დიდი ზარალი მოუვიდათ.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში რესპუბლიკელებმა, „დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტის ცნობების მიხედვით, ხელში ჩაიგდეს 3.000-მდე ტყვე.

ცენტრალური ფრონტი

თავდაცვის სამინისტროს ცნობის თანახმად მეამბოხეები 31 აგვისტოს ცდილობდნენ ჰაერში მიეტანათ ელპარლოსა და საუნივერსიტეტო უბანზე. მიუხედავად იმისა, რომ იქ მეამბოხეებმა დიდძალ ტექნიკურ საშუალებებს მოუყარეს თავი, ჰაერიში არ მოხერხდა.

ფებუსის სააგენტოს ცნობით, მეამბოხეთა არტილერიამ საომარ მოქმედებათა მთელი ხნის განმავლობაში მადრიდს 5.000 ყუმბარა ესროლა. მოკლულია 768 და დაჭრილია 3.567 კაცი. საჰაერო ბომბარდირების მსხვერპლთან ერთად მადრიდში 31 აგვისტოსათვის მიღებული მასალის მიხედვით მოკლულია 1.294 და დაჭრილია 5.703.

სამხრეთის ფრონტი

ჰავასის სააგენტოს ცნობის თანახმად, რესპუბლიკელთა ნაწილებმა გრენადის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაიკავეს მნიშვნელოვანი პოზიციები, რომლებიც დაჰყურებენ მთელს რაიონს, ქალაქის ახლომახლო რესპუბლიკელებმა ხელში ჩაიგდეს დიდძალი იარაღი და სამომარაგო მასალა.

ჩრდილოეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რესპუბლიკელთა ავიაცია 31 აგვისტოს გაძლიერებით უშენდა ყუმბარებს მეამბოხეთა ჯგუფებს კაბუერნიგაში მიმავალ გზაზე (სანტანდერის სამხრეთ-დასავლეთით). მეამბოხეთა ავიაცია ცდილობდა ყუმბარები დაეშინა რესპუბლიკელთა აეროდრომებისათვის ლიანესსა და კოლუნგაში (სანტანდერის დასავლეთით), მაგრამ მეამბოხეთა თვითმფრინავები უკუაქციეს.

ლევანევსკის თვითმფრინავის საძებნელად

ციკლონი, ღრუბლები, ქარბუქი

ამდერმა, 31 აგვისტო (საქდესი). (რადიო ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შეველიოვის ექსპედიციის თვითმფრინავები დღანან ამდერმის აეროდრომზე და სავსებით მზად არიან გასაფრენად.

აქ მიღებულია ცნობა, რომ ძლიერი ტალღა მიეხეთქა ტიხაიას ბუხტის ძირდასშვებ მოედანს. ამ დროს მოედანზე იყო მსუბუქი თვითმფრინავი „ნ-36“, რომლითაც რუდოლფის კუნძულიდან იქ მიფრინდა საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მაზურუკი. თვითმფრინავი მოსწყდა იმ ადგილს, სადაც დაბმული იყო, და დაზიანდა. ამგვარად, წამოიჭრა კითხვა, როგორ გაიგზავნოს მაზურუკი უკან რუდოლფის კუნძულზე? გადაწყდა, რომ ამ დავალებას შეასრულებს მოტორ-იალქნიანი გემი „ნერპა“, რომელიც ამჟამად ფრანც იოსების მიწის რაიონში იმყოფება. ყინულებში „ნერპის“ ხრახნს მოსწყდა ქანჩი. მაგრამ კაპიტანი ცდილობს იალქნების საშუალებით გავიდეს ყინულჭრილში და იქ შეაკეთოს დაზიანებული ნაწილი. გაიკაფავს რა გზას ტიხაიას ბუხტში, „ნერპა“ წაიყვანს ამხ. მაზურუკს და მიიყვანს რუდოლფის კუნძულზე.

პოლარულ სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსიდან“ იუწყებიან:

— დღეს მოდრეიფე ყინულზე მაღალი და სრული ღრუბლიანობა იყო. იყო ქარბუქი, თერმომეტრი აჩვენებდა მინუს 4 გრადუსს. საღამოს ტემპერატურამ ოდნავ იმატა.

პაპანინელები სავსებით მზად არიან ჩვენი საჰაერო ხომალდების მისაღებად. ყინულის აეროდრომი მოყვანილია წესრიგში. სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ მეზამთრეები ყველა ჩვენი საქმის კურსში იმყოფებიან. მათ არა მარტო მუდმივი რადიოკავშირი აქვთ რუდოლფის კუნძულთან, არამედ აგრეთვე ხშირად მოსკოვსაც ისმენენ. კერძოდ, პაპანინელთა ოთხეული ისმენდა საბაჭვო კონცერტს, რომელიც მიეძღვნა მოდრეიფე ყინულის მამაც მეზამთრეებს.

რ. ქარმენი
(„იზვესტია“)

„კრასინი“ მიადგა ყინულს

ყინულების საჰაერო დაზვერვა

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს ცნობით, წითელდროშოვანი ყინულმჭრელი „კრასინი“ 30 აგვისტოს დილით მივიდა ჩრდილოეთის განედის 72 გრადუსსა და 31 წუთამდე და დასავლეთის გრძედის 148 გრადუსამდე. ვერ მონახა რა ყინულოვან მინდვრებზე ამხ. ზადკოვის ჰიდროთვითმფრინავის დასაშვებად გამოსადეგი ყინულჭრილები, ყინულმჭრელი უკან გამობრუნდა. ნაშუადღეს მისი კოორდინატები იყო ჩრდილოეთის განედის 78 გრადუსი და 27 წუთი 140 მერიდიანით. „კრასინი“ გაჩერდა ყინულის მინდორთან. ამხ. კამინსკის მფრინავთა რაზმმა ისარგებლა ბუნებრივი აეროდრომით. ყინულზე დაუყოვნებლივ ჩაუშვეს „უ-2“-ის ტიპის თვითმფრინავი „ნ-167“. მანქანა სწრაფად აიწყეს და ამ მანქანით მოახდინეს საცდელი გაფრენა იმ ადგილზე, სადაც ყინულმჭრელი დგას. მოტორი კარგად მუშაობდა.

ყინულის მახლობლად დიდი ყინულჭრილია. იგი გამოდგება ისეთ ადგილად, სადაც შეიძლება დაეშვას ჰიდროთვითმფრინავი ამხ. ზადკოვისა, რომელსაც განზრახული აქვს გაფრინდეს ბაროუს კონკიდან „კრასინისაკენ“.

31 აგვისტოს ყინულმჭრელიდან ყინულზე ჩაუშვეს „უ-2“-ის ტიპის მეორე თვითმფრინავი „ნ-29“. მისი აწყობის შემდეგ „უ-2“-ის ორივე თვითმფრინავით მოხდა ყინულების პირველი დაზვერვა. მფრინავთა რაზმის უფროსი ამხ. კამინსკი და „კრასინის“ კაპიტანი ამხ. ბელოუსოვი ყინულების დასაზვერავად მიფრინავდნენ ჩრდილოეთისაკენ. მათ ნახეს რვაბალიანი ყინული. მინდვრები აეროდრომის მოსაწყობად არ არის. ყინულმჭრელიდან აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით ყინულჭრილებია.

იმ ადგილას, სადაც „კრასინი“ დგას, წყნარი ამინდია. ჰაერის ტემპერატურა—მინუს ორი გრადუსი.

○

მფრინავი ამხ. ზადკოვი ცუდი ამინდის გამო შეჩერდა ბაროუს კონცხზე. როგორც კი ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები იქნება, იგი გაფრინდება „კრასინისაკენ“.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შეველიოვის საჰაერო ექსპედიცია ისევ ამდერმაშია. ფრანც იოსების მიწის არქიპელაგი დაფარულია ზშირი ნისლის ფენით. როდესაც ამინდი გაუმჯობესდება ამხ. შეველიოვის ექსპედიციის ხომალდები გაფრინდებიან რუდოლფის კუნძულზე.

სასწავლო ფილი დაიწყო

თბილისელი მოსწავლეები (მარც ხნიდან მარჯვნივ) კ. კაკილაშვილი, ნინო კიკნაძე, კლავა კუდრენკო და თამარ კრავჩენკო მიდიან სკოლაში.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

სამხედრო მოქმედება ჩინეთში

ჩან კაი-შის ინტერვიუ რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან

ლონდონი, 31 აგვისტო (საქდესი). ჩან კაი-შისთან ინტერვიუს დროს 30 აგვისტოს რეიტერის სააგენტოს სპეციალურმა კორესპონდენტმა ნანკინში მისცა მას კითხვა, თუ რა პირობებით დათანხმდება ნანკინის მთავრობა შესწყვიტოს საომარი მოქმედებანი იაპონიის წინააღმდეგ. ჩან კაი-შიმ განაცხადა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იაპონია გადასწყვეტს ხელი აიღოს იმ დაუშვებელ პოზიციაზე, რომელსაც ის ადგას ჩინეთის მიმართ. შემდეგ ჩან კაი-შიმ ხაზი გაუსვა, რომ საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების ინტერესებისათვის აუცილებელია საერთაშორისო ჩარევა ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტში. ეშმარიტება არის ის ფაქტი, — სთქვა ჩან კაი-შიმ, რომ იაპონიის ახლანდელი მოქმედებანი ნათლად არღვევენ იაპონიის კონტინენტალური იმპერიის შესაქმნელად. ამიტომ ჩინეთი, თუმცა იგი საკმაოდ არ არის შეიარაღებული, მაინც იბრძვის არა მარტო თავისი ინტერესებისათვის, არამედ ყველა იმ ნაციათა ინტერესებისათვის, რომელნიც მზად უჭერენ არსებულ ხელშეკრულებათა სიწმინდისა და კანონიერების პრინციპს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ სახელმწიფოებს, რომელთა უდიდესი საგაჭრო ინტერესებიც ჩინეთში სისტემატურად იზრდებოდა. ძნელი არ არის იმის წინასწარმეტყველება, ხაზი გაუსვა ჩან კაი-შიმ, რა დაემართება უცხო სახელმწიფოთა სავაჭრო ინტერესებს ჩინეთში, თუ იაპონიამ უზრუნველჰყო თავისთვის უპირატესობა ჩინეთში, ისევე როგორც არ არის საჭირო განსაკუთრებული წინასწარ განჭვრეტა, რომ წარმოვიდგინოთ, თუ პოლიტიკურად ეს რომ მომხდარიყო, დასასრულ ჩან კაი-შიმ განაცხადა, რომ საკითხი ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტში ჩარევის შესახებ უნდა გადასწყვიტონ იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც ხელი მოაწერეს 9 სახელმწიფოს ხელშეკრულებასა და კელოგის პაქტს, და რომელთაც შეჰქმნეს აგრეთვე ერთა ლიგა.

მდგომარეობა შანხაის ფრონტზე

შანხაი, 30 აგვისტო (საქდესი). ფრონტის სხვადასხვა უბანზე შანხაიში მდგომარეობა უცვლელია. მიუხედავად იაპონიის ჯარების მხრივ გააფთრებული ბომბარდირებისა უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში, ჩრდილოეთის ვაგზალი კვლავ ჩინელთა ნაწილების ხელშია. 29 აგვისტოს ღამით იაპონიის ჯარები სამჯერ გადავიდნენ იერიშზე ტიანტუნანის სადგურთან. იერიშები წარმატებით მოიგერია ჩინეთის ჯარმა.

ტოკიო, 30 აგვისტო (საქდესი). შანხაის ფრონტზე 29 აგვისტოს ჩავიდნენ არმიის ახალი ნაწილები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაადიდეს იაპონიის ჯარების დესანტის რიცხვი.

იაპონელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ჩინეთის საჰაერო ძალები დღეს განაგრძობდნენ იაპონელთა პოზიციების ბომბარდირებას. ყველა იაპონელი კორესპონდენტი აღნიშნავს აგრეთვე ჩინეთის ჯარების დიდ ინიციატივას ღამის იერიშების ჩატარებაში.

ტოკიო, 30 აგვისტო (საქდესი). საზღვაო სამინისტროს კომუნიკე აღნიშნავს, რომ იაპონიის საზღვაო საჰაერო ძალებმა უკანასკნელ დღეებში დაჰკარგეს 2 თვითმფრინავი.

იაპონელი კორესპონდენტები ყოველგვარი ციფრის მოუყვანლად გასაგებად ხდიან, რომ იაპონელთა დანაკლისი შანხაის ფრონტზე მეტად მნიშვნელოვანია და, სხვათა შორის, აღნიშნავენ, რომ მოკლულთა და დაჭრილთა შორის ბევრია მეთაური.

სკანდინავიის ქვეყნების ახალგაზრდობის გრანდიოზული დემონსტრაცია

სტოკჰოლმი, 30 აგვისტო (საქდესი). გუშინ გეტებორგის გაიმართა სკანდინავიის ქვეყნების ახალგაზრდობის გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდობის კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული კავშირების, აგრეთვე ახალგაზრდობის სხვა ორგანიზაციების წევრებმა. საბარგო ავტომობილებით, ავტობუსებით, მატარებლებითა და გემებით მათ თავი მოიყარეს გეტებორგში შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის ყველა კუთხიდან, რათა გამოხატონ თავისი ნებისყოფა ერთიანობისა და ბრძოლისაკენ ომის გამჩაღებელთა და ფაშისტური ბნელეთის მოციქულთა წინააღმდეგ. რესპუბლიკურ ესპანეთთან სოლიდარობისა და ახალგაზრდობის ერთიანობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით გაიარეს მათ გეტებორგის ქუჩებში და მათ ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ქალაქის მშრომელები, რომლებიც უერთდებოდნენ დემონსტრაციას.

დემონსტრაციის შემდეგ გეტებორგის ყველაზე დიდ დარბაზში გაიმართა ახალგაზრდობის გრანდიოზული კრება. კრებას დაესწრო 8.500-ზე მეტი კაცი. კრებაზე გამოვიდა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის გენერალური მდივანი ამხ. რაიმონ გუით. ფაშისტ მეამბოხეთა და გერმანელ-იტალიელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ესპანელი ახალგაზრდობის ბრძოლაზე ილაპარაკეს ესპანეთიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა: ესპანელმა ალფრედ კაბელლომ და ნორვეგიელმა დრამატურგმა ნორდალ გრიგმა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

შანხაი, 30 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ტიანძინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ 28 აგვისტოს ღამით კვანტუნის არმიის ნაწილებმა დაიკავეს სუანხუა და შაჰენი (15 კილომეტრის მანძილზე ხუაილაიდან დასავლეთით). ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზაზე ჩინეთის ჯარი წარმატებით იგერიებს იაპონელთა იერიშებს. იაპონელთა 17 თვითმფრინავი ყუმბარებს უშენდა ქალაქ დატუნს (სტრატეგიული პუნქტი შანხაის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში). რკინიგზის ვაგზალი დანგრეულია.

ტოკიო, 30 აგვისტო (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ ძინხაის ფრონტზე იაპონიის ჯარებმა 29 აგვისტოს დაიკავეს ჩენგუან-ტუნი.

იაპონიის ავიაციის თავდასხმა ქანგმონზე

ლონდონი, 31 აგვისტო (საქდესი). „ივნინგ სტანდარდის“ ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს დილით, იაპონიის საზღვაო ავიაციის კანტონზე თავდასხმის დროს, ჩამოაგდეს იაპონელთა 2 ყუმბარმტყორცნი.

ლონდონი, 31 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, 31 აგვისტოს იაპონელთა 7 ყუმბარმტყორცნმა მოახდინა ახალი თავდასხმა კანტონზე. ორი ყუმბარა ჩავარდა შახეში, სამხედრო აეროდრომის მახლობლად. იაპონელთა თვითმფრინავებმა ჩინელთა თვითმფრინავებმა უკუაქციეს მანამდე, ვიდრე ისინი კანტონამდე მიფრენას მოასწრებდნენ. იმავე დროს შილუნის თავზე შეამჩნიეს იაპონიის ყუმბარმტყორცნი, რომელიც ყუმბარებს არ ჰყრიდა. მეინარე ჩუეიანის შესასთავთან იაპონეს პირველი თავდასხმის დროს ჩამოგდებული იაპონური თვითმფრინავის ნამსხვრევები. იაპონეს აგრეთვე სამი იაპონელი მფრინავის გვამი.

უთანხმოებანი იაპონიასა და სახელმწიფოებს შორის

ვაშინგტონი, 31 აგვისტო (საქდესი). ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ინგლისელებმა და ფრანგებმა დახურეს იაპონელი ჯარებისათვის გასავლელი ინგლისი და საფრანგეთის კონცესიებზე ტიანძინში. იუნაიტედ პრესის საagენტოს ცნობით, ინგლისელთა და ფრანგთა მოქმედება გამოიწვია მრავალმა კონფლიქტმა იაპონელთა სამხედრო ხელისუფალთან ტიანძინში. ეს ფაქტი მიანიშნებს იმის დასტურად, რომ ძლიერდება უთანხმოებანი იაპონელ და სხვა უცხოელ ხელისუფალთა შორის ტიანძინში.

რკინიგზის კვანძის ბომბარდირება სუიჩჟოუში

ტოკიო, 31 აგვისტო (საქდესი). საზღვაო სამინისტროს ცნობით, იაპონიის საზღვაო ავიაცია 30 აგვისტოს უყუმბარებს უშენდა რკინიგზის კვანძს სუიჩჟოუში, ძიანსის პროვინციაში (ეს ადგილი, სადაც თავს იყრის ლუნხაისა და ტიანძინ-პუკოუს რკინიგზები).



სწავლის დაწყების პირველ დღეს

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ—თბილისის 80-35 სკოლის VII კლასის მოწაფეები ძიძიის პირველ გაკვეთილზე ეცნობიან ძიძიურ ხელსაწყოებს; სკოლაში პირველ დღეს მისული ბავშვები (წინა რიგში) ლალი ლავრენაშვილი, ემთერა გურგენიძე და სხვ.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საჭ. განყ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი დღე

სწავლის დაწყების პირველმა დღემ თბილისის მეთვრამეტე სკოლაში მთელი რიგი ნაკლოვანებები გამოააშკარავა. სკოლის დირექტორის ამხ. პ. ქაჯაიას კაბინეტში პირველ სექტემბერს დილიდანვე მრავალმა მოსწავლემ და მოსწავლეთა მშობლებმა მოიყარეს თავი.

— სკოლაში მიღებული ვიყავი და სიაში არ ვარ შეტანილი.

— რამდენიმე წელია აქ ვსწავლობ და ახლა ჩარიცხვაზე უარს მეუბნებიან, ადგილი არა გვაქვს და სხვა სკოლას მიმართეო.

გაისმის მოსწავლეთა საყვედურები.

მეთვრამეტე სკოლაში მოდიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც ამ სკოლის მომსახურების უბანში არ შედიან.

პატარა თამარ ელისაშვილი ყაზბეგის ქუჩაზე ცხოვრობს. წესით იგი მე-25 სკოლაში უნდა ჩარიცხულიყო, მაგრამ, მიუხედავად მრავალი თხოვნისა, ამ სკოლის დირექტორმა ს. კარსანიძემ არ მიიღო და მეთვრამეტე სკოლაში გადმოგზავნა. ჩარიცხვაზე აქ კიდევ უარი უთხრეს და განათლების განყოფილებაში გაგზავნეს.

მეთვრამეტე სკოლაში მრავალი მოსწავლე პირველ სექტემბერსაც არ იყო მიმაგრებული ცალკე კლასებზე, მაშინ როდესაც ეს სამუშაო ერთი კვირის წინათ უნდა დამთავრებულიყო.

ამ სკოლის ყველა კლასები ძალზე გადატვირთულია, წესით თითო კლასში 40 მოსწავლე უნდა იყოს, აქ კი საშუალოდ 46-48 მოსწავლეა. მეორე კლასის ყველა პარალელში კი მოწაფეთა საერთო რიცხვი 50-ს აღემატება.

მთელ რიგ საგნებში სასწავლო პროგრამები განათლების კომისარიატისაგან სკოლას ჯერაც არ მიუღია, არც ძველი სასწავლო პროგრამებია გადამუშავებული.

მეთვრამეტე სკოლა ჯერ არც მასწავლებლებითაა მთლიანად უზრუნველყოფილი. გერმანული ენის მასწავლებელი ბლუმბერგი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ დღემდე არ გამოცხადებულა სკოლაში და არც სამაგიერო დაუნიშნავთ. იგივე ითქმის სიმღერის მასწავლებელ გიორგი სვანიძეზე. ფიზკულტურის მასწავლებელი ბიძინა ფურცელაძე ფიზკულტურის ცენტრალურმა საბჭომ სხვა რაიონში გადაიყვანა პირადი განცხადებით, სამაგიერო მასწავლებელი თითქოს დანიშნული უნდა იყოს, მაგრამ სკოლაში ფაქტიურად არავინ გამოცხადებულა. კიდევ მეტი: ჯერ არც ის იციან, თუ ვინ იმუშავებს აქ ფიზკულტურის მასწავლებლად.

სკოლას არა აქვს სკოლის არცერთი ჟურნალი. პირველ სექტემბერს მოწაფეთა დასწრება უბრალო რვეულებში აღრიცხეს და არც ამ რვეულებში აღუნიშნავთ, თუ რა გაკვეთილი გადასცეს ცალკეულ კლასებში.

მოსწავლეთა უმეტესობას ამ დღეს არ ჰქონდა სასწავლო სახელმძღვანელოები. სკოლაში, მართალია, გაიხსნა სავაჭრო ფარდული, მაგრამ სახელგამმა მას ვერ მიაწოდა სასწავლო წიგნები და სახელმძღვანელოები.

მთავარი, რასაც ბაზი უნდა გაეწვას, ის არის, რომ მეთვრამეტე სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ ვერ უზრუნველჰყო პირველ სექტემბერს გაკვეთილებზე მოსწავლეთა მთლიანი დასწრება. მაგალითად, ამ დღეს მეცხრე კლასის პირველ ჯგუფში 41 მოსწავლიდან 10-მა გააცდინა მეცადინეობა. ამავე კლასის მეორე ჯგუფში არ გამოცხადდა 7. მეათე კლასის პირველ ჯგუფში ჩარიცხულ 38 მოსწავლიდან მხოლოდ 25 გამოცხადდა. მსგავსი სურათი იყო სხვა კლასებშიც. ამასთან ერთად ამ დღეს მრავალი მოსწავლე დაგვიანებით გამოცხადდა, ბევრმა პირველი გაკვეთილი გააცდინა.

ეს არანორმალური მდგომარეობა სწავლების შემდგომ დღეებში არ უნდა განმეორდეს. სწავლის პირველი დღის მაგალითიდან როგორც მეთვრამეტე სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ, ისე ორჯონიკიძის სახ. რაიონის განათლების განყოფილებამ საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ.

ტ. აცანელი

დიადი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები

გუშინ თბილისი ბავშვების ჟრიამულმა გამოაღვიძა. სწავლა დაიწყო. დადგა სიბეჯითისა და შრომის დრო. ზაფხულში ბავშვებმა კარგად დაისვენეს და აი ახლა წიგნებით ხელში საყვარელი სკოლის კარებს მიადგნენ.

გათენდა პირველი სექტემბრის დილა თუ არა, დაიწყო ჟუჟუნა წვიმა და ნელმა ქარმა ხის ფოთლები შეარხია, ხოლო სკოლის პირველმა ზარმა — ბავშვთა მხიარული გუნება.

თბილისის მე-35 საშუალო სკოლაში ჯერ კიდევ დილის 8 საათიდან დაიწყო მოწაფეთა დენა. სკოლის ეზოს ბაღი ფერადფერადი ყვავილებით დაუხვდა ნორჩ „სტუმრებს“. აქ დღეს ათასამდე ბავშვია მოსული. მათ ამ ზაფხულს კარგად დაისვენეს და ახალ სასწავლო წელს ახალი ენერგიით შეხვდნენ. სკოლის ხელმძღვანელებმა წელს კარგი საქმე გააკეთეს. მოაწყეს ბავშვთა გამაჯანსაღებელი სანატორიუმი, რომელშიც 50 მოწაფემ დაისვენა. გარდა ამისა, 14 ფრიადოსანი აგარაკზე გაგზავნეს. სკოლა კარგად არის შეკეთებული. კედლები და ჭერი თეთრად შეუღებავთ, პარტები შეუკეთებიათ, ფანჯრებში მინები ჩაუსვამთ. მაგრამ ერთი რამ გამორჩენიათ: თითქმის ყველა საკლასო ოთახში მასწავლებელთათვის დანჯღრეული მაგიდები და ფეხმტკენელი სკამები დგას, ზოგან დაფებიც შეუკეთებელია.

კიდევ ერთი ნაკლი აქვს სკოლას — ეს არის ორ წყებად სწავლა. წელს მეზუთე ჯგუფმა საღამოობით უნდა იმეცადინოს, რადგან სასკოლო ოთახები არ ჰყოფნით, და ეს მაშინ, როცა სკოლაში ყოფილ დირექტორს სამი ოთახი უჭირავს.

კარგად არის მოწყობილი ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის კაბინეტები.

დილის 9 საათზე პირველმა ზარმა მოწაფეები აახმაურა, ისინი კლასების მიხედვით ეზოში დაეწყვნენ და დირექტორის დაძახილზე მასწავლებლებთან ერთად საკლასო ოთახებში მწყობრად შევიდნენ.

ბავშვებს შორის არიან პირველკლასელები, რომლებიც პირველად ხედავენ სკოლის უზარმაზარ შენობას, პარტებს და მასწავლებლებს. მათ წითელი ბანტი უმშვენებთ მკერდს და მორცხვად გამოიყურებიან, ზოგიერთებს დედებიც წამოჰყოლიათ. აი, წითელბანტიანი ეთერი გურგენიძე, რომელიც დედის გვერდით პარტაზე მორცხვად დამჯდარა და მასწავლებელს გულმოდგინედ უყურებს.

ეთერი გურგენიძის გვერდით მოკარგულხალათიანი ჯონდი სიორიძე დამჯდარა, რომელიც მასწავლებლის მაგიერ კარებთან დამდგარ მამას უყურებს და თვალებით ეხვეწება, შინ არ წაიყვანოს.

შარშან ქეთო ავალიშვილი და მარო გუგუნაშვილი ფრიადზე სწავლაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მაგრამ ორთავემ ერთნაირი ნიშანი მიიღო და წელსაც მე-6 კლასში აგრძელებენ შეჯიბრებას.

— შარშანდელთან შედარებით წელს უფრო მომზადებული შევხვდით სწავლას,—გვეუბნება სკოლის დირექტორი ამხ. შალვა სამხარაძე.—მოწაფეებმა სახელმძღვანელოები უკვე შეიძინეს, სკოლის შინაგანაწესი და საწარმოო გეგმები გუშინ პედსაბჭოს სხდომაზე დავამტკიცეთ, ასე რომ პირველი ზარის შემდეგ სწავლა ნორმალურად წავა.

სწავლა დაიწყო. ბედნიერ ბავშვთა სიხარულს საზღვარი არა აქვს.

კ. გოგიავა

სკოლების მშენებლობა ფერხდება

(ფოთი, საკ. კორ.)

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში ფოთის რაიონს დიდი მღწევები აქვს, მაგრამ სამარცხვინოდ ჩამორჩება სასკოლო მშენებლობის მხრივ. ფოთისა და ყულევის საშუალო სკოლებისათვის პროექტები და თანხები თავის დროზე იყო გადმოგზავნილი, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა.

მიუხედავად ყველა პირობების არსებობისა, ამ სკოლების მშენებლობა ნელა მიმდინარეობს. მაგ., ფოთის სრული საშუალო სკოლის შენობა 10 აგვისტოსათვის მზად უნდა ყოფილიყო 92 პროცენტით, ნამდვილად კი მზად იყო მხოლოდ 70 პროცენტით. ყულევის სკოლის შენობა ამავე რიცხვისათვის მზად უნდა ყოფილიყო 80,5 პროც-ით, მზად იყო მხოლოდ 75,8 პროცენტით. ასევე ჩამორჩება საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობაც.

სასკოლო მშენებლობის ასეთი ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ სკოლებისათვის დანიშნული საშენი მასალა მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა დროზე არ გამოგზავნეს და, რაც მთავარია, მშენებლობას არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ კომუნალური და განათლების განყოფილებები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მშენებლობის ხელმძღვანელმა ინჟ. კ. ქელეშაშვილმა გამოირჩინა უპასუხისმგებლობა მშენებლობის მზადყოფნის პროცენტის განსაზღვრაში. მან როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებს სასკოლო მშენებლობის მზადყოფნის შესახებ არასწორი ცნობები მიაწოდა.

გრ. ბოლქვაძე.

ბ-ნი რიუკარი საბჭოთა მედიცინის შესახებ

საფრანგეთის ჯანმრთელობის მინისტრი ბ-ნი მარკ რიუკარი, რომელიც ამჟამად ლენინგრადში იმყოფება, მოსკოვიდან გამომგზავრების წინ ესაუბრა „იზვესტიის“ კორესპონდენტს. მინისტრმა კორესპონდენტს გაუზიარა შთაბეჭდილებანი სსრ კავშირში ყოფნის შესახებ.

— მე ბევრი რამ ვნახე და გავიგონე, — სთქვა ბ-ნმა მარკ რიუკარმა.—საბჭოთა კავშირში ორ კვირას ვიყავი და შევძელი გავცნობოდი მრავალრიცხოვანი საავადმყოფოების, კონსულტაციების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობას. ჩემზე მრავალი ნათელი შთაბეჭდილება მოახდინა ნანახმა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ლაბორატორიების ნახვა, რომლებიც ბევრ შემთხვევაში უაღრესად სრულქმნილი აპარატურითაა მოწყობილი. თქვენს ქვეყანაში ისწრაფვიან ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია, შეათავსონ ჰიგიენის მოთხოვნები ესთეტიკისა და სილამაზისათვის ზრუნვასთან.

საბჭოთა კავშირში ისწრაფვიან იქითკენ, რომ თანამედროვე მედიცინის მიღწევები ყველას კუთვნილება გახდეს.

ქალაქებსა და სოფლებში, ქვეყნის უაღრესად შორეულ კუთხეებში იგზავნებიან ექიმები, მედიკამენტები. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში მოწყობილობა როდი დგას სათანადო სიმაღლეზე. ყველგან როდი არიან ექიმები საკმაო რაოდენობით. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა კავშირში წინ მიდის, მე შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ მუშაკები გამსჭვალული არიან ურყევი ორგანიზაციული ნებისყოფით.

სასიამოვნოა აღვნიშნო ის გარემოებაც, რომ საბჭოთა კავშირში თვითეული ადამიანის ჯანმრთელობა არანაკლებ ძვირფასია ხელმძღვანელებისათვის, ვიდრე მთელი უზარმაზარი კოლექტივის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

კიევში ინსტიტუტისა და პოლიკლინიკის დათვალიერების შემდეგ მთხოვეს აღმენიშნა ჩემი შთაბეჭდილებანი. მე იქ განვაცხადე:

— ხალხის ცივილიზაციის ხარისხი განიზომება იმ ყურადღებით, რომელიც ექცევა ბავშვებს, მეცნიერებასა და ხელოვნების მოღვაწეებს. მე არ შემიძლია სათანადოდ არ შევაფასო საბჭოთა კავშირის შესანიშნავი მიღწევები ყველა ამ დარგში. მთელი მსოფლიო უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირს იმ დამოუკიდებელი მდგომარეობისათვის, რომელიც უკავიათ თქვენს ქვეყანაში მეცნიერებს, იმ ფართო მატერიალური შესაძლებლობათათვის, რომლებიც მოეპოვებათ მათ მეცნიერული კვლევა-ძიებისა და ცდებისათვის. მეცნიერებას არა აქვს სამშობლო; მისი მონაპოვარნი — მთელი კაცობრიობის მონაპოვარია. ცნობილია საფრანგეთის უპირატესობა მედიცინის ზოგიერთ დარგში, კერძოდ ქირურგიასა და მიკრობიოლოგიაში. მაგრამ ჩემთვის ცნობილია აგრეთვე საბჭოთა მეცნიერის ბოგომოლეცის მეტად ძვირფასი მიღწევები სისხლის გადასხმის დარგში, აგრეთვე ოდესის ოფტალმოლოგიის ინსტიტუტის მიღწევები.

ბ-ნი რიუკარი ლაპარაკობდა იმ დიდ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მასზე მოახდინა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მოწყობამ საბჭოთა კავშირში, კრწსულტაციებზე, ზღვის პირად, მთებსა და ტყეებში აგებულ დასასვენებელ სახლებზე, ფიზიკურ აღზრდაზე და სხვ.

ბოლშევიკური იდეურობა და პედაგოგიური ოსტატობა

საბჭოთა კავშირის 30 მილიონი მოსწავლე იწყებს დღეს თავის სასწავლო წელს. ეს—დიდი მოვლენაა, სასიხარულო დღესასწაულია მთელი ჩვენი ქვეყნისათვის.

სასკოლო საქმის განვითარება ჩვენში არ წარმოადგენს ვიწრო საუწყებო ამოცანას. სწვდება რა სკოლის ცხოვრების ყველა პრობლემურ წერილმანში, საბჭოთა მთავრობა, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი სტალინი გულმოდგინედ ადევნებენ თვალს იმას, თუ რა ხდება სკოლაში, დაუცხრომლად ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან მას. სტალინური სიზუსტეა სკოლისათვის, მაგალითად, ახალი სახელმძღვანელოს გამოშვება „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსი“ მე-3 და მე-4 კლასებისათვის. გარდა ამისა, ეს არის პროგრამა და ძვირფასი დამხმარე წიგნი ისტორიის მასწავლებელთათვის, საიმედო იარაღი მათ ხელში საბჭოთა მოქალაქის აღსაზრდელად, ბავშვებში თავისი დიადი სამშობლოსადმი სიყვარულის განსავითარებლად.

სახალხო განათლების საქმის ფართოდ გაშლაზე ჩვენს ქვეყანაში მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1937 წელს დაწყებითსა და საშუალო სკოლებზე გაღებულია დაახლოებით 7 მილიარდი მანეთი მასწავლებელთა ხელფასისათვის, მშენებლობისათვის, მოწყობილობისათვის და სკოლების შენახვისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომები ვალდებულნი არიან სკოლებში მეცადინეობის დაწყების პირველ დღიდანვე დაამყარონ სკოლებში წესრიგი და დისციპლინა, სწრაფად და გზადაგზა გამოასწორონ ის, ზოგჯერ აღმაშფოთებელი, ხარვეზები, რომლებიც დაშვებულ იქნა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში. ლაპარაკია სკოლების მშენებლობასა და შეკეთებაზე, რაც გაჭიანურდა განსახკომების უთაურობისა და უხეირო ხელმძღვანელობის გამო; ლაპარაკია იმაზე, რომ აქამდე არ არის პროგრამები, სახელმძღვანელოები ცალკეულ საგნებში, რისთვისაც სასწავლო-პედაგოგიურ გამომცემლობასთან ერთად პასუხს აგებენ მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომებიც.

უპასუხისმგებლობისა და სასკოლო საქმისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულების მკვეთრ მაგალითს წარმოადგენს უზბეკეთის სსრ, აგრეთვე პარტიის მთელი რიგი რაიონული და საქალაქო კომიტეტები, რაიონული აღმასკომები და ქალაქის საბჭოები უზბეკეთში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ტაშკენტში ახალი სასკოლო შენობები თითქმის სანახევროდაც კი არ იყო აგებული 1 აგვისტოსთვის. ხე-ტყე, დანიშნული სკოლების მშენებლობისათვის სამარყანდში, ლენინსკში, ტამლაკში და მატანში, გაყიდულ იქნა. უზბეკეთის სახალხო განათლების ორგანოებში მოკალათებული ბურჟუაზიული ნაციონალისტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გამოიწვიონ მოსწავლეთა და მათ მშობელთა უკმაყოფილება. საკავშირო მთავრობის მიერ სკოლისათვის გაღებულ სახსრებს იყენებენ არაპირდაპირი დანიშნულებისათვის. სკოლებში უგულებელყოფილია რუსული ენის სწავლება, რასაც ხშირად სრივით მშობლები. რა შეიძლება იყოს უზბეკ ბავშვებისადმი ასეთ დამოკიდებულებაზე უფრო სამარცხვინო?! ამხ. იკრამოვს, რომელიც ვერ ითმენს თვითკრიტიკას და მფარველობას უწევს განსახკომელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, აწევს მთელი პასუხისმგებლობა დაშვებულ უმსგავსოებათათვის.

*

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა თათართა ასს რესპუბლიკაშიც. აქ ნაციონალისტები იმდენად არაადამიანურად ეპყრობოდნენ ბავშვებს, რომ სასკოლო საქმისათვის გაღებულ სახსრებს ისინი ხარჯავდნენ იმ მიზნებისათვის, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მშრომელთა განათლებასთან. ეს ხდებოდა თათართა ასს რესპუბლიკის მთავრობის პირდაპირი წაყრუებით.

ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმემ უკანასკნელ წლებში, უეჭველად, მნიშვნელოვნად წაიწია წინ. საშუალო სკოლის აღმავლობის ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს მოსწავლეთა ცოდნის ზრდა. მისაღებმა გამოცდებმა უმაღლეს სასწავლებლებში გვიჩვენეს, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთ წელს წინა წლებში გამოშვებულებთან შედარებით მეტი ცოდნა აქვთ. მთელ რიგ სკოლებში წარმატებით ისპობა მეორე წელს ტოვება. მართალია, სრულიადაც არა ყველა სკოლაში. მაგალითად, ორენბურგის ოლქში 1-4 კლასების მოსწავლეთა შემადგენლობის 8-9 პროცენტი სოფლის ადგილებში დატოვებულია მეორე წელიწადს, ქალაქის სკოლებში კი (5-7 კლასებში) კიდევ უფრო მეტიც. რით აიხსნება ესოდენ მაღალი პროცენტი?

„ჩვენი ბავშვები წიჭიერები არიან, მაგრამ ბევრი რამ არის დამოკიდებული მასწავლებელზე, მის მიდგომაზე მოწაფეებისადმი, რათა ისინი გახდნენ ფრიადოსნები“, — სწერს „პრავდაში“ ალმა-ატის საშუალო სკოლის მასწავლებელი ამხ. კოტენევა.

პედაგოგებზე, მათ ოსტატობასა და ბოლშევიკურ იდეურობაზე პედაგოგიურ მუშაობაში დამოკიდებულია პირველ რიგში ჩვენი ბავშვების სწავლებისა და აღზრდის წარმატება. მასწავლებელი—გადამწყვეტი ძალაა პედაგოგიურ პროცესში. პედაგოგის ფორმალური, სტანდარტული მიდგომა ბავშვთა კოლექტივის მრავალფეროვანებისადმი იწვევს იმას, რომ მოსწავლენი ვერ ითვისებენ მათთვის გადაცემულ ცოდნას, და ამას საბოლოო ანგარიშით შედეგად მოსდევს მეორე წელს დატოვებულთა რიცხვის ზრდა.

ბევრი მასწავლებელი რომ ჯერ კიდევ ვერ დაეუფლა პედაგოგიურ ოსტატობას, ეს მკვეთრად იჩენდა თავს ისტორიის სწავლებაში საშუალო სკოლაში. იმყოფებოდნენ რა ვულგარული „სოციოლოგიის“ ტყვეობაში და არ მოეპოვებოდათ რა საკმაო ცოდნა, ისტორიის მასწავლებლები უყურადღებოდ სტოვებდნენ ფაქტებს ჩვენი სამშობლოს წარსულიდან. უმნიშვნელოვანესი ამბების ცოცხალი, საინტერესო გადმოცემა, მაჟი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათებით, ისტორიის საგანს ხდის კონკრეტულს, საინტერესოს. „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსის“ ყურადღებით გაცნობა თვითეულ მასწავლებელს აჩვენებს, თუ როგორ უნდა გახადოს გაკვეთილი სასარგებლო და წარმტაცი.

სწორედ ასევე კონკრეტული, საინტერესო გადმოცემა, პრაქტიკული გამოცდილებისა და ცხოვრებიდან აღებული მაგალითების დემონსტრაციასთან ერთად, წარმოადგენს ყველ საგანში საინტერესო გაკვეთილის ჩატარების პირობას, იქნება ეს ფიზიკა, მათემატიკა თუ გეოგრაფია.

საბჭოთა პედაგოგი უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ახლანდელი სკოლისათვის, რომელიც მოითხოვს მასწავლებლისაგან სერიოზულ, მრავალმხრივ ცოდნას, ფართო ჰორიზონტს და პედაგოგიური ოსტატობის განუწყვეტლივ სრულყოფას.

ქ. კალინინის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ქალი ა. ბაზანოვა, სახავს რა გაკვეთილის გეგმას, ყურადღებას აქცევს არა მარტო მის საერთო გამართულობას, პედაგოგიური მიზნის გარკვეულობას, არამედ გაკვეთილის გაღვენთას პოლიტიკურ - იდეურობითი მასალით, რომელიც უზრუნველჰყოფს ბავშვების კომუნისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებას. პედაგოგიური შემოქმედება განუყრელადაა დაკავშირებული იდეურობასთან მასწავლებლის მუშაობაში, ნორჩი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდასთან.

ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით შეუძლია მხოლოდ იმ პედაგოგს, რომელიც თვითონ არის გამსჭვალული ბოლშევიკური იდეურობით, ერთგულია პარტიისა და მთავრობის.

მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებთა შესწავლა, პოლიტიკურ ცოდნათა შეთვისება სავალდებულოა მასწავლებელთა მთელი მილიონიანი კოლექტივისათვის. განსახკომების მუშაკები დღემდე უდარდელად ეკიდებიან ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, არ უქმნიან მასწავლებლებს შესაძლებლობას მიიღონ აუცილებელი პოლიტიკური განათლება.

მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს კომკავშირს და პიონერულ ორგანიზაციას. ამავე დროს კომკავშირის მუშაობა სკოლებში არ არის დამაკმაყოფილებელი. საკ. ალკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მე-4 პლენუმმა აღნიშნა, რომ ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და მავნებლები, შეპარნენ რა კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში, ცდილობდნენ ჩაეშალათ დაწყებითი, საშუალო და კომკავშირული საერთო - საგანმანათლებლო სკოლების მუშაობა. კომკავშირის ორგანიზატორები გადაჭრნენ სკოლის ადმინისტრატორებად, მოსწყდნენ ბავშვებსა და ახალგაზრდობას, ვერ ამჩნევდნენ იმ განწყობილებასა და გავლენას, რომელსაც მოსწავლენი განიცდიდნენ. სკოლის ახალგაზრდობის აღმზრდელად და ნამდვილ მეგობრად გახდომა კომკავშირის ძირითადი ამოცანაა ამ სასწავლო წელს.

საბჭოთა სკოლისა და მისი მასწავლებლების წინაშე უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები დგას. 30 მილიონი მოსწავლე უნდა აღვზარდოთ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით. ეს ამოცანა შესრულდება, თუ პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები მიაქცევენ სკოლას იმ ყურადღებას, რომლის ღირსიც ისაა და რომელსაც მას პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა აქცევენ.

„პრავდის“ მოწინავე, 1/IX

დირექტორის დარდები

მეცადინეობენ დაწყებისათვის მე-30 სკოლაში ყველაფერი მოამზადეს, მაგრამ ზოგიერთი „წვრილმანი“ კიდევ მოითხოვს გადაკეთებას, შეკეთებას, წესრიგში მოყვანას. სკოლის შეკეთებისას სათანადო ხარისხი ვერ დაიცვეს. ამიტომ იყო, რომ 31 აგვისტოს აქ რამდენიმე ოსტატი გამალებით მუშაობდა, ამზადებდა სკოლას მოწაფეთა შესახვედრად.

იმავე დღეს ოცოდე პარტა სასწრაფოდ მოიტანეს მე-26 სკოლასთან არსებულ სახელოსნოდან. საქმე ისაა, რომ ეს პარტები არ ვარგოდა. ხელახლა გადაკეთეს, შეღებეს, მაგრამ მოწაფეები ამ პარტებზე ვერ დასხდებიან. მეტი გზა არ არის, პირველ დღეებში თითო პარტაზე სამ-სამი მოწაფე უნდა დასვან.

მოულოდნელი ამბავი დაახვედრა სკოლის მასწავლებლებს და მოწაფეებს ლენინის სახელობის რაიონ საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ჯანორიძემ. ამ ზაფხულს, როცა სკოლაში არავინ იყო, ერთერთი დაკეტილი საკლასო ოთახი შეამტვრია, პარტები გარეთ გამოჰყარა და შიგნაო დავალების მოკლე შინაარსის აღსანიშნავი ადგილიც ჟურნალის ბოლოში მოუჭკეპიათ. ეტყობა, განსახკომელები შეეცადნენ მეტი დრო დაეკარგვინებინათ მასწავლებლისათვის, მეტი უხერხულობა შეექმნათ მისთვის. ამას კიდეც მიაღწიეს...

უნდა ითქვას, ამ სკოლის მე-10 კლასის ოთახი პირდაპირ ჭუჭას გადაჰყურებს. ჯერ არის და მეცადინეობას არაჩვეულებრივად დიდი ხმაურობა უშლის ხელს, მერე, რადიორუპორი პირდაპირ ამ კლასის ზემოთ არის სახურავზე დადგმული. მასწავლებელი რომ ლოგარითმებზე ჩამოაგდებს საუბარს, რადიო კრამაჭულს მოჰყვება და მოწაფეების ყურადღებას იქცევს. ეს გარემოება კარგად იციან განათლების განყოფილებამ და რაისაბჭომ, მაგრამ ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ რუპორი სადმე სხვაგან გადაიტანონ.

ასეთ პირობებში შეუდგა მე-30 სკოლა მეცადინეობას, ვნახოთ, გამოსწორებენ თუ არა იქ ნაკლოვანებებს.

შ. კერაძე.

ინგლისის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია გაემგზავრა ღონდონს

ლენინგრადი, 31 აგვისტო (საქდესი). 1 აგვისტოს ლენინგრადში დაბრუნდა ინგლისელ პროფესორთა, დოცენტთა, გეოგრაფ მასწავლებელთა და ეკონომისტ-სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობდა. ჯგუფს მეთაურობს ცნობილი ინგლისელი მეცნიერი აგროტექნიკის და აგრონიადაგთმცოდნეობის სპეციალისტი—როტამსტედის (ლონდონის მახლობლადაა) სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის დირექტორი დოქტორი რესელი. ერთი თვის განმავლობაში ინგლისელი მეცნიერნი იყვნენ უკრაინის, ყირიმის, ჩრდილო-კავკასიისა და ამიერკავკასიის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საცდელ სასოფლო - სამეურნეო სადგურებში.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში რეცელმა განაცხადა:

— საბჭოთა კავშირში ჩვენი მოგზაურობის მიზანს შეადგენდა აგროტექნიკის მეთოდების შესწავლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მათ სტრუქტურასთან გაცნობა. უკრაინაში, ჩრდილო-კავკასიაში, ყირიმსა და ამიერკავკასიაში — ყველგან ვრწმუნდებოდით სოფლის მეურნეობის წარმატებებში. ჩემთან საუბარში უკრაინის, სომხეთის და საქართველოს კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები აცხადებდნენ, რომ მეტად კმაყოფილი და ბედნიერნი არიან საკოლმეურნეო შრომის შედეგებით. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, რომლებთანაც მე მქონდა საუბარი, მეტწილად აქვთ ფართო ჰორიზონტი, ისინი სახელმწიფოებრივად აზროვნებენ, ამაშია მათი შრომის წარმატების საწინდარი. ვტოვებთ რა საბჭოთა კავშირს, გიცხადებთ მადლობას ჩვენს მიმართ გამოჩენილი სტუმართმოყვარეობისათვის და ვუსურვებთ სრულ წარმატებას თქვენს ქვეყანას მის მიცადინეობაში ძიალწიოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას მეცნიერულ საფუძვლებზე, რაც კიდევ უფრო გაუმჯობესებს საბჭოთა გლეხობის ცხოვრების პირობებს.

31 აგვისტოს მეცნიერნი გაემგზავრნენ ლონდონს.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის გამგზავრება

მოსკოვი, 31 აგვისტო (საქდესი). 31 აგვისტოს საღამოს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. სამიი გაემგზავრა მოსკოვიდან—ბელორუსიის ვაგზლიდან. მინისტრს აცილებდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ამხ. ვ. პ. პოტიომკინი, სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვი, აღმოსავლეთის 1-ლი განყოფილების გამგის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ამხ. ვ. პ. ოსეტროვი, საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი და ირანის ელჩი მოსკოვში ბ. სეპახ ბოდი ირანის საელჩოს მთელი შემადგენლობით, აგრეთვე ავღანისტანის ელჩი მოსკოვში ბ. აბდულ ჰუსეინ ხან აზიზი.

შეუწყნარებელი უდარდელობა თესლის დამხარისხებელი მანქანების შეკეთებაში

გალ. მინდაძე

მარცვლეულ კულტურათა თესლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება წარმოადგენს საბრძოლო პროგრამას მეთესლეობისა და სასელექციო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად. ამ დადგენილების საფუძველზე, მიმდინარე წლის შემოდგომაზე შერჩეული ხარისხოვანი თესლით უნდა დაითესოს საშემოდგომო კულტურათა ყველა სათესლე ნაკვეთის არანაკლებ 70 პროცენტისა.

საშემოდგომო თესვის ხარმატებით შესრულებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია თესლის სარკვევი მანქანების დროულად მოყვანა წესრიგში. ცნობილია, რომ სარკვევ მანქანებში გაუტარებელი, დაუხარისხებელი თესლი საგრძნობლად სცემს მოსავლიანობასა და ხარისხს. ამ მხრივ ჯერ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მეჩასახკომის ა. წ. 23 მაისის ბრძანებით, 25 ივლისამდე უნდა მომზადარიყო თესლის სარკვევი მანქანების რემონტი. ამისათვის თბილისში 5-8 ივნისს შესდგა მტს-ების მექანიკოსებისა და რაიაგრონომების რესპუბლიკური კონფერენცია. 11 ივნისს სათანადო ინსტრუქცია დაეგზავნათ ადგილებს.

მიუხედავად ამისა, სიღნაღის რაიონის წმორის მტს-ს (დირექტორი დ. შავლიაშვილი) დღემდე არ აუმუშავებია ისეთი გაუმჯობესებული სარკვევი მანქანა, როგორიცაა „ვიმ-2“.

უმოქმედობას იჩენს სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის დირექტორი მ. ალავერდაშვილიც. ხსენებულ მტს-ს აქვს 16 ტრიერი, რომელიც აქამდე ტექნიკურად შეუმოწმებელია და არც მათი რემონტი დაწყებულა.

წითელ-წყაროს (სიღნაღის რაიონი) მტს-ს (დირექტორი ს. ახობაძე) ჯერაც არ გაუშლია მუშაობა თესლის სარკვევი მანქანების წესრიგში მოსაყვანად.

ასეთივე მდგომარეობაა საგარეჯოს რაიონში. აქ გეგმით უნდა დაითესოს 13 ათასი ჰექტარი თავთავიანი კულტურები და თესვა უნდა დაიწყოს 10 სექტემბერს, მაგრამ არსებული 35 ტრიერის ტექნიკური შემოწმება და რემონტი დაწყებულიც არ არის (საგარეჯოს მტს-ის დირექტორია ა. ონოფრიშვილი). ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ თესლის სარკვევი მანქანების ალრიცხვა, ადგილებზე არ გამოუყვიათ მეთესლე კოლმეურნეები, არ შეუდგენიათ სარკვევი მანქანების რემონტისა და მათი სრული დატვირთვის გეგმა. მტს-ის უფროსმა აგრონომმა ა. კაკაურიძემ ისიც არ იცის, თუ რამდენი ტრიერია მტს-ის განკარგულებაში. საგარეჯოს რაიონში არსებულ ტრიერების უმეტესობას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი და აკლია სათადარიგო ნაწილები. ამ რაიონის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვასო გურამიშვილი) ჩვენ ვნახეთ დამტვრეული და მოუვლელი ტრიერი, რომელსაც სარკვევი ცხავი შებრუნებით ჰქონდა შემოკრული და მუშაობის დროს 70 პროცენტი გაუწმენდავი თესლი სცვივოდა.

საგარეჯოს მტს-ის დირექტორს ონოფრიშვილს ამ საქმის მოსაგვარებლად არა სცალია. იგი კაბინეტში აწრიპინებს კალამს და ჰგონია, რომ მარტო ბრძანების წერით შეკეთდება მანქანები.

თელავის რაიონში მიმდინარე წლის საშემოდგომო გეგმით ითესება 23 ათასი ჰექტარი ხორბლეული, რისთვისაც დაახლოვებით საჭიროა 42 ათასი ცენტნერი დახარისხებული კონდიციური თესლი. თესვის დაწყებამდე დღეებიღა დარჩა, თელავის მტს-ს კი (დირექტორი ვ. მაისურაძე) სარკვევი მანქანების საქმაო რაოდენობაც არ გააჩნია. მართალია, მტს-მა ამ მანქანების რემონტი დაიწყო, მაგრამ იგი კუს ნაბიჯით მიმდინარეობს.

ყვარლის რაიონის მტს-ის განკარგულებაში მყოფ 17 ტრიერზე და 4 სანიავებელ მანქანაზე საჭიროა შესდგეს წმენდის კალენდარული დატვირთვის გეგმა, მაგრამ ეს არ მოუხდენიათ.

მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს გურჯაანის რაიონშიც. 35 ტრიერიდან შეკეთებულია მხოლოდ 25 და ისიც უხარისხოდ. ადგილებზე ტრიერები სცდება ცუდი რემონტის, აგრეთვე ნაწილების (ცხავი და სხვ.) ნაკლებობის გამო. ეს ფაქტები მოწმობს, რომ ზემოხსენებულ რაიონებში საშემოდგომო თესვის მზადებაში ყველაფერი რიგზე არ არის. თესლის დამხარისხებელი მანქანებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულება ყოველად შეუწყნარებელია. ყოველივე ეს მტს-ების დირექტორების მუშაობის ცუდი ატესტაციაა.

◇ ◇ ◇

არჩევნების დებულებას ღიდი ხალისით სწავლობენ

ბორჯომის რაიონის მშრომელებმა დიდი ხალისით მოჰკიდეს ხელი „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ შესწავლას.

მუშები და კოლმეურნეები დებულების შესწავლის პროცესში ახალ საწარმოო ვალდებულებებს იღებენ. მაგალითად, შუშის ქარხნის სტახანოველებმა ამხ. ციკვაძემ, ბრუთკაროვმა, ნადირაშვილმა, ხიხაძემ და სხვ. იკისრეს ვალდებულება—ასწრონ შრომის ნაყოფიერება, იბრძოლონ პროდუქციის წუნის მოსპობისათვის.

საკასრე ქარხნის მუშებში სისტემატიურად ტარდება გაზეთის ხმამაღალი კითხვა და საუბრები. მუშები დებულებას სწავლობენ პოლიტსკოლებში.

ხსენებული ქარხნის ტკეცის მრანდავმა ამხ. ნ. ლომიძემ აიღო ვალდებულება — გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი და საწარმოო დავალება შეასრულოს 150 პროცენტით.

რკინიგზის კვანძის დიასახლისებისათვის ჩამოყალიბდა არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეები. დიასახლისები მთელი გულისყურითა და ხალისით სწავლობენ დებულებას.

ასეთივე წრეები ჩამოყალიბდა სატყეო მეურნეობასთან, სამკერვალო არტელსა და პურის ქარხანაში.

ფ. მაისურაძე.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში მიმდინარეობს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა. სურათზე: ფაბრიკის პარტკომის მდივანი ამხ. მიმინაშვილი (მარცხნივ) კონსულტაციას უწევს პროპაგანდისტებს: (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. თორთლაძეს, ქილარჯიშვილს და იმედაძეს არჩევნების საკითხებზე.

„დასწერონ განცხადება და მივიღებთ“

(ქუთაისი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაციებში დიდი რაოდენობით არიან სტახანოველები, პოლიტიკურად მტკიცე, მუშათა კლასისა და პარტიის ერთგული ახალგაზრდები, რომლებიც ისწრაფვიან კომუნისტური პარტიის რიგებისაკენ. მაგრამ მათ სურვილსა და ლტოლვას ზოგიერთი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელება უსულგულოდ ხვდებიან. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა პარტიაში კომკავშირელების მიზიდვა. საქ. ალკ ქუთაისის ორგანიზაცია თავის რიგებში ითვლის 6000 კომკავშირელს და აქედან პარტიაში მხოლოდ 22 კაცია მიღებული.

პარტიის რიგებში კომკავშირელთა მიზიდვის საკითხზე საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მიერ 16 აგვისტოს მოწვეულ სპეციალურ თათბირზე გამოირკვა, რომ იქით მსხვილ საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებშიც კი, როგორიცაა სამკერვალო ფაბრიკა, მაუდის ფაბრიკა, საკონსერვო ქარხანა და ავტოშუმის კომბინატი, არაა დადამაკმაყოფილებელია მუშაობა პარტიაში კომკავშირელთა მიღების დარგში. კომკავშირიდან ამ ორგანიზაციებს პარტიაში სულ რაღაც უმნიშვნელო რაოდენობა მიუღიათ.

რკინიგზის მოძრაობის დარგის პარტორგანიზაციას პარტიაში დღემდე ერთი კომკავშირელიც არ მიუღია. ამ ორგანიზაციის პარტორგი ქარაშაძე თათბირზე შეეცადა პასუხისმგებლობა მოეხსნა და ანტიპარტიულ ცილისწამებას მიმართა. მან განაცხადა, „რა ჩემი ბრალია, კომკავშირელებს არა აქვთ სურვილი პარტიაში შესვლისო“. ელსადგურის პარტორგმა პ. ქუთათელაძემ დაახლოვებით იგივე გაიმეორა. „ძალით ხომ არ დავაწერინებთ განცხადებას, დასწერონ განცხადება და მივიღებთო“. თათბირმა სამართლიანად დაჰგმო ქარაშაძისა და პ. ქუთათელაძის ანტიპარტიული და არაჯანსაღი განცხადება. პარტიაში შესვლას მსურველი კომკავშირელები ბევრია, მაგრამ მოუქნელ პარტორგებს, ქარაშაძეს და პ. ქუთათელაძეს, მათ მისაზიდად არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში. დღემდე სოფლის პირველადი პარტორგანიზაციებიდან პარტიაში მისაღებად მხოლოდ 3 კაცის საქმეა გაფორმებული.

აქვე უნდა აღინიშნოს კომკავშირში კლასობრივი სიფხიზლის მოდუნების ცალკე შემთხვევები. აი ფაქტი: კავშირგაბმულობის კომკავშირის ორგანიზაციამ პარტიაში მისაღებად რეკომენდაცია მისცა კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტს ა. ქირიას, სამკერვალო ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციამ კი—მარდალეიშვილს, რომელიც ჯიბგირობისა და ქურდობის შეტს არაფერს აკეთებს.

საჭიროა ქუთაისის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით გააუმჯობესონ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი და უფრო გაბედულად მიიზიდონ პარტიაში ღირსეული და პარტიის ერთგული კომკავშირელები.

ეშ. გვასალია.

◇ ◇ ◇

გაცდენებს მოუხშირეს

ბორჯომის რაიონული პარტაქტივის წრეში მეცადინეობს 21 კაცი. წრეს აქვს სამუშაო პროგრამა, შედგენილი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სანინოში პროგრამის საფუძველზე, უზრუნველყოფილია სათანადო ბიბით და საჭირო ლიტერატურით.

რაიაქტივის სემინარმა საკმაოდ მისცა ახალი კადრი ბორჯომის ორგანიზაციას. ესენი არიან: ამხ. გ. კუპრაძე, დ. ლურსმანაშვილი, მ. კობახიძე და სხვ., რომელნიც დაწაწურებულ იქნენ საპასუხისმგებლო სამუშაოზე.

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიონული კომიტეტი ერთგვარ ზომებს ღებულობს იმისათვის, რომ პარტაქტივის სემინარი უნაკლოდ მუშაობდეს, მაგრამ სემინარის მუშაობაში მაინც ვხედებით მთელ რიგ დეფექტებს.

ზოგიერთი ამხანაგი უსულგულოდ ეკიდება სემინარის მეცადინეობას, არის უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები (ამბროსი ჭოლოკავა, ნ. ენუქიძე და სხვ.). მაგალითად, მსმენელ ამბროსი ჭოლოკავას თავი მოჰქონდა ყველაფრის მცოდნედ, მაგრამ, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, იგი ჯერ კიდევ ვერ ერკვევა უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების მთელ რიგ საკითხებში. ის მოუმზადებელი მიდის სემინარის მეცადინეობაზე, უმიზეზოდ გაცდენა აქვს 3-ჯერ. პარტაქტივის სემინარის მეცადინეობას ამხანაგები უმთავრესად აცდენენ იმის გამო, რომ მათ ბორჯომის ზოგიერთი წარმოება-დაწესებულება სწორედ მეცადინეობის დღეს ჰგზავნის მივლინებებში. ამ მიზეზით გაცდენა აქვს 12 კაცს. 31 ივლისს მეცადინეობა არ შედგა იმის გამო, რომ რაიაქტივის სემინარის მსმენელები ამ დღეს გაგზავნილი იყვნენ თემებში სამუშაოდ. 23 ივლისს მეცადინეობა არ შესდგა მსმენელთა უმრავლესობის გამოუცხადებლობის გამო.

სემინარის მსმენელები იშვიათად მიდიან პარტკაბინეტში კონსულტაციის მისაღებად, რაც იმას მოწმობს, რომ მსმენელთა უმრავლესობა კმაყოფილდება მეცადინეობაზე დასწრებით და დამოუკიდებლად არ მუშაობს.

ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიონულმა კომიტეტმა დროულად უნდა მიიღოს ზომები.

ნ. ჩადუნელი.

მახარაძის რაიონში მორიგი გაწვევისათვის სუსტად ემზადებიან

სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში ოქროს ასოებით ჩაწერილია: „სამხედრო სამსახური მუშურ-კლეხურ წითელ არმიაში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას“.

რამდენიმე დღის შემდეგ ახალი ცვლა საბჭოთა ახალგაზრდობისა, 1915-1916 წ. დაბადებულნი, ჩადგებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში, რომ ღირსეულად ატარონ სამშობლოს დამცველთა საპატიო სახელწოდება.

ხელმძღვანელ ორგანოების მოვალეობაა ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეს—გაწვევის ჩატარებას გულსხმიერად მოეკიდონ და იგი ბოლშევიკური რევოლუციური შემტევი ნიშნით ჩაატარონ.

მახარაძის რაიონში გაწვეულთათვის მზადება ძლიერ სუსტად მიმდინარეობს. ხალხის მტრება, სამშობლოს მოღალატეები—მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარე კიროლე გოგუაძე და მისი დამჭაშები ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ამ ფრიად სერიოზულ საქმის მაღალხარისხოვნად მომზადებას.

გოგუაძის მავნებლურ მუშაობას ხელს უწყობდა ჯანგანყოფილების, სამხ. ინსპექციის, ალკ კრაიკომის უსულგულო დამოკიდებულება გაწვევის საქმისადმი. თუ არ ამით, მაშ რით უნდა აიხსნას ქვემოდდასახელებული ფაქტები.

25 აგვისტოსათვის წვევამდელთა დაახლოებით 25 პროცენტზე დახასიათებები შეგროვილი არ იყო. მილიციის ორგანოებს ამ მხრივ თითქმის არაფერი გაუკეთებიათ, წარმოდგენილი დახასიათებები (პოლიტიკური და საწარმოო) შედგენილია ფორმალურად, ისინი განხილული არ არის სათანადო ორგანოების მიერ. 16 აგვისტოს მახარაძის პარტრაიკომის ბიუროს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს დაავალა სასწრაფო წესით განეხილა წვევამდელთა დახასიათება აღმასკომის პლენუმზე, მაგრამ ეს 26 აგვისტოსათვის შესრულებული არ იყო.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს გამაჯანსაღებელი მუშაობა წვევამდელთა შორის. დღესაც შევსებული არ არის წვევამდელთა პირადი სანიტარული ბარათები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა სამხედრო ინსპექციაში ინსპექტორ სალუქვაძესთან. ჯანმრთელობის განყოფილებაში არ მოიპოვება მასალები წვევამდელთა ჯანმრთელობის შემოწმებისა და აღმოჩენილი დეფექტების შესახებ. ჯანმრთელობის განყოფილების ცხრილი ახალქის პოლიკლინიკაში წვევამდელთა 80 პროც. ღებულობს საექიმო დახმარებას, ნამდვილად კი გამოირკვა, რომ 3 თვის განმავლობაში იქ არცერთ წვევამდელს არ მიუღია საექიმო დახმარება.

საექიმო კომისიის დასკვნით ქირურგიული ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ 21 წვევამდლისათვის. გაუკეთეს მხოლოდ სამ. ჯანმრთელობის განყოფილებამ ზემდგომ ორგანოებს მისცა არასწორი ცნობა, ვითომდა ოპერაცია გაუკეთეს 7-ს.

სრულებით არ მოიპოვება ცნობები მალარიით დაავადებულთა და მალარიის წინააღმდეგ მიღებული ზომების შესახებ.

ჯანგანყოფილების ასეთი დაუდევარი მუშაობის შესახებ რაიკომის ბიურომ მიუთითა რაიაღმასკომს, რომ პლენუმზე განეხილა ჯანგანყოფილების გამგის ქავთარაძის საქმიანობა, მაგრამ ეს საკითხი დღემდის განუხილავია.

გაწვევის საქმეს მეტისმეტად უგულოდ ეკიდება მახარაძის სახელობის ალკკ რაიკომი (მდივანი ხავთასი). რაიკომმა არ იცის, ალკკ რამდენი წევრია წვევამდელი, ისინი ჩაბმული არიან თუ არა სწავლებაში. მათ დახასიათებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. განათლების განყოფილებამ ვერ უზრუნველჰყო წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირეცოდნეობის ლიკვიდაცია. შემოწმებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ლიკპუნქტებიდან ისე გამოუშვეს წვევამდელები, რომ მათ წერაკითხვა არ იციან. წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ ინსპექციისა და განათლ. განყოფილების ცნობები ერთი მეორეს არ ესაბამება. წვევამდელთა შორის სრულებით არ სწარმოებს პოლიტმასობრივი მუშაობა. არ დაუმუშავებიათ დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, ამხ. ვოროშილოვის ბრძანება ჯარის ნაწილების დათხოვნისა და გაწვევის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ინსპექტორი სალუქვაძე ყველა ამ ნაკლოვანებას გულდამშვიდებით უყურებს. მახარაძის პარტრაიკომის ბიუროს 16 აგვისტოს დადგენილება გაწვევის მზადების შესახებ ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

საჭიროა განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოყენებულ იქნას გაწვევამდე დარჩენილი დრო. რაიაღმასკომმა განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღოს იმ ხალხის მიმართ, ვინც გულგრილად ეკიდება გაწვევის საქმეს.

ა. ხაზალია.

◇ ◇ ◇

მუმლაური ყუას ანადგურებს

(„კომუნისტის“ საკ. კორ.)

ლაგოდეხის რაიონში სისტემატიურად აწარმოებენ ტყის მტაცებლურ ექსპლოატაციას. 21.000 ჰექტარ სატყეო ფართობიდან 12.000 ჰექტარი ვითომ დაცულ ტყეს წარმოადგენს, როგორც ნიადაგდამცველი. სინამდვილეში კი ორივე ფართობი, ტყის უსისტემოდ ჭრის შედეგად, გაშეჩხერებულია. ხშირია შემთხვევა, როდესაც ძვირფასი ჯიშის ხეს სჭრიან დაცულ ზონაშიც. ვიღაც ბოლოშვილმა, რაიმეტყევე მუმლაურის ნებართვით, აკომძალულ ზონაში 20 ძირი მუხა და თელა მოსჭრა.

ტყის განადგურებას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ უბნის უფროსი მეტყეველები ამავე დროს დამმზადებლებიც არიან და უმეტეს შემთხვევაში ხეებს აჭრევინებენ გზისა და წყლის ნაპირებზე. მაგალითად მემედ ჩიბურიძემ მდინარე ალაზნის ნაპირებზე მოაჭრევინა ძვირფასი ჯიშის 200 უხარისხო ხე (კაკალი, ვერხვი, მუხა და სხვ.).

სატყეოს აქვს სანერგე მეურნეობა. ამ სანერგეში ბლომად არის ისეთი წაბლის ხეები, რომელთა სიმაღლე 4 მეტრს აღწევს. ცხადია, ასეთი „ნერგის“ სხვა ადგილზე გადატანა შეუძლებელია, რადგან ვერ იხერხება, გახმება. მიუხედავად ამისა, ასეთ „ნერგებს“ ხშირად უნაცვლებენ ადგილს, რის შედეგად ისინი ხმებიან და ფუჭდებიან. ეს მაუნებლური საქმიანობაა, და მუმლაურმა ამაზე პასუხი უნდა აგოს.

მუმლაური უნებართვოდ მოჭრილ და ჩამორთმეულ ხეებს ჰყიდის და აღებულ ფულს ითვისებს. 1935 წელს ტყის მცველმა მეტრეველმა მუმლაურს ჩაუბარა სოფ. ყაისუბანში უნებართვოდ მოჭრილი 80 მორი (კაკალი და თელა). ეს მორები მუმლაურმა მიჰყიდა საფერმენტაციო ქარხანას 2.817 მან. და 79 კაპიკად და ფული მიითვისა. ამავე დროს, დაცულ ზონაში მოჭრილი 20 კუბური მეტრი წაბლის ხე მუმლაურმა უფასოდ მისცა რაიაღმასკომის ყოფ. თავმჯდომარეს ი. ბეჟაშვილს, შინასკომის განყოფილების ყოფილ უფროსს მარგველაშვილს, მიწგანის ყოფ. გამგეს გ. გოზალიშვილს, რომლებიც ამჟამად გამომძღვანებული არიან როგორც ხალხის მტრები.

ტყის განადგურებისა, ფულის მითვისებისა და სანერგე მეურნეობის ნავნებლურად გაფუჭებისათვის მუმლაურს პასუხი უნდა მოეთხოვოს.

დროა, რაიკომმა მუმლაურის მუშაობა საფუძვლიანად შეამოწმოს და ბოროტმოქმედს საკადრისი მიუზღოს.

დ. ბატიაშვილი.

თბილისის საგალანტერიო ფაბრიკაში ითვისებს ქსოვილების შეფერადების ახალი წესი, ეგრეთწოდებული „აერშეფერადება“, რაც ბევრად ზრდის შრომის ნაყოფიერებას და შეფერადებასაც უფრო ლამაზს და თანაბარს იძლევა.

სურათზე: სტახანოველი ოსტატი ზ. გულამალიევა (თურქი ქალი), რომელიც აერშეფერადების გეგმას 155 პროც-ით ასრულებს.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

დ. ლამარინი

საქართველოს მსუბუქი მრეწველობა კვლავ ჩამორჩენილია

ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება საქართველოს მსუბუქი მრეწველობა. მომქმედი სამრეწველო დარგები მდიდრდებიან ახალი საწარმოებით, მრეწველობის ახალი დარგებით. ყოველ წელს ფართოვდება მსუბუქი მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობაც.

მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ გამოუშვა 63,2 მილიონი მანეთის პროდუქცია, ანუ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით პროდუქციის საერთო მოცულობა 20,5 პროცენტით გაადიდა: აქედან საქსოვ-სატრიკოტაჟო მრეწველობამ 16,1 პროცენტით, აბრეშუმისამ—29,2 პროცენტით, ტყავ-ფეხსაცმლის წარმოებამ—25,4 პროცენტით, სამკერვალო წარმოებამ—13,5 პროცენტით.

იზრდება შრომის ნაყოფიერებაც. მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით იგი 9,8 პროცენტით გაზარდა. მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა საგრძნობლად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულებაც და გაუმჯობესა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

მაგრამ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაობა მიმდინარე წელს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. განვლილ 7 თვეში, 1926-27 წლის უნიფიცირებულ ფასებში, მას უნდა გამოეშვა 66,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად კი მან დაამზადა მხოლოდ 63,2 მილიონი მანეთის პროდუქცია—გეგმის 95,1 პროცენტი. ამრიგად, მან ქვეყანას დააკლო 3,3 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საგნები, მათ შორის: საფეიქრო მრეწველობამ 0,7 მილიონი მანეთის, აბრეშუმის მრეწველობამ—1,2 მილიონის, ტყავ-ფეხსაცმლის წარმოებამ—0,94 მილიონის, სამკერვალო წარმოებამ—0,57 მილიონი მანეთის.

მაგრამ, საქმე გეგმის მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლების შეუსრულებლობა როდია. არანაკლებ უარყოფითად მოქმედებს გეგმით გათვალისწინებული ხარისხობრივი მაჩვენებლების შეუსრულებლობაც. სსრ კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს 29 მარტის დადგენილებას იმის შესახებ, რომ საწარმოს მიერ გეგმის შესრულება უნდა შეფასდეს არა საერთო პროდუქციის ძიხედვით, არამედ ხარისხისა და ასორტიმენტის მზა და კომპლექტური პროდუქციის გამოშვების მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოპყრობოდნენ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაკნი.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ცნობილია, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, იაპონელ-გერმანელ ფაშისტ ტროცკისტთა აგენტების — რამიშვილის, მანჯგალაძის, ჩუხაძის, ძიძიგურის და სხვათა მავნებლური, ძირგამომთხრელი საქმიანობა, პირველ რიგში, მიმართული იყო მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გეგმის ჩაშლისაკენ. ხალხის ამ საზიზღარ მტრებს, კარგათ ესმოდათ, რომ არახარისხოვან პროდუქციის გამოშვებით და გეგმით დაწესებული ასორტიმენტის უხეში დარღვევით ისინი ადვილად მიაღწევდნენ თავიანთ შავბნელ ზრახვებს: სოციალისტურ ქვეყნის მრეწველობისათვის დიდი ზიანის მიყენებას.

მას შემდეგ 4 თვემ განვლო! ამ ხნის განმავლობაში, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები არ გაუმჯობესებულა. პირიქით, საქართველოს აბრეშუმის ძაფსახვევ წარმოებაში სამარცხვინოდ ჩაშალა საწარმოო ასოციაციის გრეჟის გამოშვების გეგმა: წლის პირველ ნახევარში სატისაო კლასების გრეჟის გამოსავლიანობა მხოლოდ 53,7 პროცენტს შეადგენს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 65 პროცენტისა. ამ მხრივ გარდატეხა არც ივლისში მომხდარა.

თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში პირველი ხარისხის ნაქსოვის გამოშვება შეადგენდა: აპრილში—49,5 პროცენტს, მაისში—45,3 პროც., ივნისში—46,7 პროც., ნაცვლად საგეგმო დავალებით გათვალისწინებული 54,7 პროცენტისა. უფრო უარესი მდგომარეობაა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში, რომელიც სისტემატურად ამზადებს არაკონდიციურ, წუნდებულ პროდუქციას. მაგალითად, პირველ კვარტალში მის მიერ გამოშვებული პროდუქციის 31,1 პროცენტი წუნს წარმოადგენდა; შემდეგ თვეებში წუნის ოდენობა თუმცა კლებულობს, მაგრამ აპრილში ის მაინც შეადგენს 30 პროცენტს, მაისში—24,5 პროცენტს, და მხოლოდ ივნისში დიდი ვაი-ვაგლახით მიღწეულ იქნა წუნის შემცირება.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ფაბრიკები უხეშად არღვევენ პროდუქციის ასორტიმენტსაც. თბილისის ძაუდ-კამვოლის ფაბრიკამ მერინოსის მაღალი ხარისხის ქსოვილთა გამოშვების გეგმა მხოლოდ 81,3 პროცენტით შეასრულა, საკამვოლო არტიკულისა (№ 447)—92,3 პროცენტით, მულინეს მარკის ქსოვილისა—70,8 პროცენტით.

თბილისის ბამბისსართავმა ფაბრიკამ სამარცხვინოდ ჩაშალა ნართის იმ ნომრების დამზადების გეგმა, რომელთა საფუძველზე მუშაობენ ჩვენი მაუდ-კამვოლის და სატრიკოტაჟო წარმოების დარგები.

პროდუქციის დაწესებული ხარისხის და ასორტიმენტის დარღვევის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოებშიც: მაგალითად, თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკაში, სამკერვალო წარმოების მთელ რიგ ფაბრიკებში, სადაც ჯერ კიდევ ჰკერავენ ყოვლად უმსგავსო და ქარიკატურულ ტახსაცმელს. შეიძლებოდა მაგალითების გამრავლება, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია.

ასეთ სამარცხვინო გარღვევებს მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი მუშაკი „არახელსაყრელი პირობებით“. ასახელებენ, მაგალითად, ნედლეულის უქონლობას, ელექტრო-ენერგიის მიუწოდებლობას, მუშა-ხელის უყოლობას.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა უზრუნველყოფილი იყო ნედლეულით. მიუხედავად ამისა, მისმა ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო პროდუქციის საგეგმო ასორტიმენტის დაცვა. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ძაფსაღები საამქრო სავსებით უზრუნველყოფილი იყო საჭირო ნედლეულით. მაგრამ აქ საერთო პროდუქციის გამოშვების ივლისის გეგმა სამარცხვინოდ ჩაშლილია. ანალოგიური მდგომარეობაა საფეიქრო და ტყავ-ფეხსაცმლის მწარმოებელ მთელ ფაბრიკა-ქარხნებში. მაგრამ ესეც იქ არ იყოს, ნედლეულით, დამხმარე მასალებით და მუშა-ხელით საწარმოთა დროულად უზრუნველყოფა განა წარმოების ხელმძღვანელთა საწარმოო საქმიანობის ორგანიზიულ და განუყრელ ნაწილს არ წარმოადგენს?

ცხადია ერთი რამ. შვიდი თვის განმავლობაში საქართველოს მსუბუქი მრეწველობა სამარცხვინოდ ჩამორჩა საერთო ტემპებს.

წარმოების არამართებული ორგანიზაცია, ტექნოლოგიური პროცესების მოუწესრიგებლობა, სტახანოველური მოძრაობის უგულებელყოფა, მარაგების საქმის დეზორგანიზაცია,—აი ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზები. ავიღოთ ტექნოლოგიური პროცესების დაცვის საკითხი. ცნობილია, რომ საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში მოკალათებულ ხალხის მტერთა მავნებლური საქმიანობა, სხვათა შორის, წარმოების ტექნოლოგიური რეჟიმის უხეშ დარღვევაში გამოიხატებოდა. სამწუხაროდ, ეს მოვლენა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების პრაქტიკაში დღემდე აღმოფხვრილი არ არის. მაგალითად, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში დღემდე ადგილი აქვს ნაქსოვთა ხშირ ჩაწყვეტებს, მოწყობილობათა და მანქანათა ხშირ გაცდენებს. წლის პირველ ნახევარში სწორედ ამ მიზეზებით საკამვოლო ქსოვის საამქროში გაცდენამ 6.803 დაზგა-საათს, ანუ მთელი სამუშაო დროის 4,5 პროცენტს მიაღწია. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში, სადაც ტექნოლოგიური რეჟიმის დაუცველობის შედეგად, გახშირდა ქსელის ჩაწყვეტების და ქსელის მისკვნის შემთხვევები. ამ მიზეზით გამოწვეული გაცდენა დაზგათა საერთო გაცდენის 33,3 პროცენტს შეადგენს. ტექნოლოგიური რეჟიმის უხეშმა დარღვევამ ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ძაფსაღებ საამქროში გამოიწვია 2.407 აუზსაათის გაცდენა, რაც საერთო გაცდენის 16,5 პროცენტს შეადგენს.

წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა, და მას საქართველოს მსუბუქი მრეწველობის კომისარიატმა დაუყოვნებლივ ბოლო უნდა მოუღოს.

ტექნიკური ნორმების ათვისების მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა აბრეშუმის მრეწველობაში. მახარაძის ძაფსაღებ ფაბრიკაში ნარდად მომუშავე მუშების 43 პროცენტი ვერ ასრულებს ახალ ტექნიკურ ნორმებს, წულუკიძის ძაფსაღებ ფაბრიკაში კი—მომუშავეთა 44 პროცენტი. ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატშიც.

ძალიან გაიზარდა მუშათა დენადობა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა სამკერვალო და აბრეშუმის საწარმოებში, ხოლო ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები ამ მოვლენისადმი მავნებლურ შემარიგებლურ დამოკიდებულებას იჩენენ.

დასასრულ, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის კომისარიატში თუ საარჩიცხვო-სტატისტიკური სექტორი შედარებით კარგად მუშაობს, ეს არ ითქმის კომისარიატის საგეგმო სექტორზე და საერთოდ საგეგმო მუშაობაზე. დაუსრულებელი წუწუნი „დიდ და შეუსრულებელ“ გეგმებზე, მათი განუწყვეტელი გადასინჯვა-შემცირებანი, ამ ნიადაგზე თვიური და კვარტალური გეგმების დიდი დაგვიანებით დამუშავება და წარმოებისადმი დაშვება,—ყ

სსრ კავშირის მინსახკომის, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის და კავების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ნაკრები ცნობა

1937 წ. თავთავიანი კულტურების აღების მიმდინარეობის შესახებ 1937 წ. 25 აგვისტოსათვის

რესპუბლიკები მხარეები და ოლქები	მომკილია ჯამი ათას ჰექტარობით	მომკილია ჯამი %%-ით გეგმის მიმართ	მომკილია აქედან საბჭოთა მეურნ. კოლმეურნეობებში %%-ით გეგმის მიმართ	მომკილია აქედან საბჭ. მეურნ. სახ. კომის. %%-ით გეგმის მიმართ	მომკილია აქედან მიწსახკომის %%-ით გეგმის მიმართ	მომკილია აქედან ქვემ. მრეწვ. სახ. კომის. %%-ით გეგმის მიმართ	გაღეწილია ჯამი ათას ჰექტარობით	გაღეწილია ჯამი %%-ით მომკილის მიმართ	გაღეწილია აქედან კოლმეურნეობებში %%-ით მომკ. ფართ. მიმართ	გაღეწილია აქედან საბჭ. მეურნ. სახ. კომის. მეურნეობებში %%-ით მომკ. ფართ. მიმართ	კოლმეურნ. მინდვრებზე აღებული და ბუნებრივ ნაყოფიერებაში ჩაბმული ფართობი %%-ით გეგმის მიმართ	კოლმეურნ. დაწყობილია და ბუნებრივ ნაყოფიერებაში ჩაბმული ფართობი %%-ით გეგმის მიმართ	აღებულია კომბაინებით ჯამი ათას ჰექტარობით	აღებულია კომბაინებით საბჭ. მეურნ. სახ. კომის. მეურნეობებში %%-ით გეგმის მიმართ
რსფსრ	45779	71	72	58	68	84	28337	51	49	92	88	75	58	59
უკრაინის სსრ	15004	99	100	100	99	100	1551	77	77	98	96	97	98	99
ბელორუსიის სსრ	1957	96	98	100	100	91	660	34	34	46	96	97	40	61
აზერბაიჯანის სსრ	663	90	92	100	97	96	43	65	65	100	76	9	75	103
საქართველოს სსრ	347	78	84	—	90	00	238	63	64	—	75	86	107	—
სომხეთის სსრ	185	51	57	—	2	100	84	45	44	—	88	95	45	—
თურქმენეთის სსრ	136	86	86	85	99	—	96	63	64	48	14	14	67	63
უზბეკეთის სსრ	953	86	88	79	100	100	762	80	78	100	31	31	73	93
ტაჯიკეთის სსრ	340	64	65	93	87	100	205	60	60	100	4	4	92	157
ყაზახეთის სსრ	2747	66	67	56	75	71	1509	55	53	76	52	78	56	49
ყირგიზეთის სსრ	380	50	50	47	52	92	218	57	57	78	61	79	80	54
რსფსრ რესპუბლიკის მხარეები, ოლქები და ავტ. რესპუბლიკები														
ჯანუბ-შავიზღვისპირეთის მხარე	5293	100	100	100	99	100	4673	88	87	99	78	97	100	104
შორეულ აღმოსავლეთის მხარე	226	41	44	15	21	12	129	57	56	91	90	60	53	14
დასავლეთ ციმბირის მხარე	1552	27	28	16	17	33	601	39	38	75	81	49	7	14
კრასნოიარსკის მხარე	394	26	28	8	0	31	54	14	13	54	95	18	10	5
ორჯონიკიძის მხარე	1871	100	100	100	87	00	1529	82	79	99	80	100	91	103
ვორონეჟის ოლქი	3703	100	100	86	92	97	1498	40	38	81	98	74	54	74
აღმოსავლეთ ციმბირის მხარე	97	11	12	3	10	3	1	11	11	59	82	8	7	2
გორკის ოლქი	1254	91	92	74	57	89	349	28	27	39	99	75	29	43
დასავლეთის ოლქი	1846	91	91	85	76	87	688	37	37	50	86	87	33	44
ივანოვოს ოლქი	530	73	75	45	62	51	219	41	40	80	94	78	56	46
კალინინის ოლქი	960	79	79	84	57	88	319	33	33	57	95	87	25	11
კიროვის ოლქი	1307	68	69	55	38	25	288	22	22	55	99	50	25	52
კუიბიშევის ოლქი	2933	78	79	62	68	84	1315	45	42	86	93	60	60	60
კურსკი ოლქი	2649	99	99	92	91	100	1188	45	45	78	99	88	68	71
ლენინგრადის ოლქი	757	68	68	89	62	100	256	34	34	56	99	77	43	71
მოსკოვის ოლქი	2479	93	93	93	82	97	906	37	37	86	98	89	46	84
ომსკის ოლქი	699	30	31	18	28	51	338	48	46	85	80	54	21	18
ორენბურგის ოლქი	2045	72	74	60	62	88	1419	69	66	97	79	82	63	62
სარატოვის ოლქი	2055	72	72	64	82	85	1241	60	59	86	77	68	51	60
სვერდლოვსკის ოლქი	783	41	42	18	29	24	166	21	21	26	95	75	17	8
ჩრდილოეთის ოლქი	512	59	59	50	—	31	89	17	17	62	44	66	48	0
სტალინგრადის ოლქი	2800	193	94	89	100	100	2152	77	75	96	75	95	87	94
ჩელიაბინსკის ოლქი	1088	36	38	25	46	58	732	69	67	95	89	74	35	26
იაროსლავლის ოლქი	390	53	53	52	4	34	148	38	38	50	96	68	32	36
თათართა ასსრ	1734	77	78	53	43	69	448	26	25	50	97	39	37	33
ბაშკირეთის ასსრ	1599	63	66	33	20	46	429	27	24	93	88	52	31	35
დაღისტნის ასსრ	247	78	100	100	100	100	144	58	63	97	80	80	10	116
ჩუვაშეთ-მონღოლეთის ასსრ	53	16	16	—	6	—	—	—	—	—	26	7	3	—
ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ	100	96	96	100	79	100	78	78	76	98	88	68	109	110
ყალმუხეთის ასსრ	133	100	100	100	97	100	88	66	62	86	45	92	108	97
კარელიის ასსრ	28	63	65	—	—	—	4	14	14	—	100	71	—	—
კომის ასსრ	52	59	62	—	37	—	4	13	13	—	19	69	100	—
ყირიმის ასსრ	743	100	100	100	100	100	721	97	97	99	85	100	97	104
მარიის ასსრ	262	72	72	—	68	53	49	19	19	—	88	40	37	—
მორდვიის ასსრ	542	96	96	74	56	100	172	27	27	51	99	62	33	41
პოვოლჟიეს გერმანელთა ასსრ	934	89	89	83	65	87	587	63	61	98	73	73	77	80
ჩრდილო ოსეთის სსრ	27	94	97	—	—	100	23	85	85	—	100	85	83	—
უდმურტთა ასსრ	501	73	74	71	48	70	105	21	21	37	93	46	26	44
ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ	110	85	97	100	100	99	88	80	79	100	92	95	131	103
ჩუვაშეთის ასსრ	441	95	95	—	55	87	89	20	19	—	99	61	50	—
უკრაინის სსრ ოლქები და ავტ. რესპ.														
ვინიცის ოლქი	162	100	100	94	100	99	921	57	56	88	100	95	92	76
დნეპროპეტროვსკის ოლქი	2970	99	100	100	100	100	1828	95	96	99	85	99	95	102
დონეცის ოლქი	734	99	100	00	100	100	1433	83	86	98	77	96	103	99
კიევის ოლქი	1947	99	100	100	97	100	1173	60	60	77	100	97	96	70
ოდესის ოლქი	2747	00	100	100	100	100	2443	89	88	99	89	93	94	102
ხარკოვის ოლქი	257	99	100	100	99	99	1885	73	73	90	100	98	78	88
ჩერნიგოვის ოლქი	1117	100	99	99	98	100	610	55	55	73	100	96	80	85
მოლდავეთის ასსრ	297	100	100	—	100	100	258	87	87	—	100	100	94	—
ყაზახეთის სსრ ოლქები														
აქტიუბინსკის ოლქი	99	77	80	52	—	77	128	64	64	80	52	80	73	46
ალმა-ატის ოლქი	263	56	55	19	25	96	129	49	50	87	70	73	53	19
აღმოსავლეთ-ყაზახეთის ოლქი	342	43	44	24	—	53	178	52	51	56	55	68	37	18
დასავლეთ ყაზახეთის ოლქი	250	89	94	72	—	95	160	64	63	73	51	94	100	65
ყარაგანდის ოლქი	190	61	63	24	—	87	58	31	30	53	54	68	49	20
კუსტან აის ოლქი	384	71	83	31	—	100	175	46	44	68	39	63	59	24
ჩრდილო-ყაზახეთის ოლქი	627	60	64	33	—	95	328	52	51	80	50	80	50	59
სამხრეთ-ყაზახეთი	432	89	92	86	100	100	306	71	69	97	60	93	93	89
უზბეკეთის სსრ ავტ. რესპუბლიკა														
ყარა-კალფაკეთა ასსრ	6	40	36	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
აზერბაიჯ. სსრ ავტ. რესპ.														
ნახჭევნის ასსრ	32	—	—	—	—	—	14	44	54	—	96	100	—	—
სულ სსრ კავშირში	68491	76	77	65	74	88	39061	57	55	92	86	80	65	65
იყო 37 წ. 20 აგვისტოსთვის	63670	71	74	58	67	83	34746	55	53	93	86	78	61	59
იყო 1936 წ. 25 აგვისტოს	71777	81	84	75	85	90	49321	69	68	87	80	88	90	73

გალეწა ადასტურებს, რომ მარცვლეულ კულტურათა მოსავალი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არნახულია — სოციალისტური სოფლის მეურნეობა უშუალოდ მიადგა ამ ამოცანის შესრულებას, რომ უახლოეს 3-4 წლის განმავლობაში მარცვლეულის მოყვანა აუვნილ იქნას 7-8 მილიარდ ფუთამდე წელიწადში. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ აღებულ იქნეს უდანაკარგოდ მშვენიერი მოსავალი. 25 აგვისტოსთვის არსებული ცნობებით, საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მომკეს სულ 68.491 ათასი ჰექტარი (გეგმის 76 პროცენტი), შარშან კი ამავე რიცხვისათვის მომკილი იყო 71.777 ჰექტარი. ჩამორჩენილობა ჯერ კიდევ არ არის გადალახული, იგი აიხსნება იმით, რომ მთელი რიგი რესპუბლიკები და ოლქები ნელი ტემპით იღებენ პურს. გააქანურეს მკა და ატარებენ მას შარშანდელზე ბევრად უარესად სარატოვის, კუიბიშევის, ორენბურგის, ივანოვოს, კალინინის, კიროვისა და ლენინგრადის ოლქები და თათართა ასსრ. თუმცა აღმოსავლეთ რაიონებში მკის ტემპები რამდენადმე უკეთესია შარშანდელზე, მაგრამ ამ რაიონებს თავიანთი ტექნიკური აღჭურვილობით შეუძლიანთ პურის აღება ბევრად უფრო ჩქარა. კრძოთ უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთის ყველა რაიონს, განსაკუთრებით კრასნოიარსკის მხარეს, როდი შეუქმნია ნორმალური პირობები სამხრეთის კომბაინერთა სამუშაოდ, რომლებიც იქ ენსტრუქტორებად არიან გაგზავნილნი.

ჩეხ-ებმა მოსავლის კომბაინით აღების ვეგნა კოლმეურნეობებში 65 პროცენტით შეასრულეს. მატება ხუთდღიურში, საშუალოდ თითო კომბაინზე მარტო 15 ჰექტარს შეადგენს. ეს მოწმობს იმას, რომ კომბაინები სუსტადაა გამოყენებული, რასაც დიდი დანაკარგები მოსდევს.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებმა მოსავლის აღების გეგმა 65 პროცენტით შეასრულეს. დაცილება შარშანდელთან შედარებით შეადგენს 1.003.000 ჰექტარს. საბჭოთა მეურნეობების ჩამორჩენა გადამჭრელ ზომებს მოითხოვს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატისაგან, მაგრამ უკანასკნელს დღემდე არაფერი გაუკეთებია ჩამორჩენის გადასალახავად.

გალეწილია მომკილის 57 პროცენტი, მატება ხუთდღიურში მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენს. სალეწი მანქანების ნაყოფიერება მეტად უმნიშვნელოა, ამასთან სალეწ მანქანათა მეთელი პარკი როდი მუშაობს კალიებზე.

ამჟამად პურის მკასთან, ძნად შეკვრასთან, გალეწვასთან და გაზიდვასთან ერთად ტარდება საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა. მაგრამ უკან ჩამორჩენილია — საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის საქმეში. 25 აგვისტოსთვის დათესილია 9.543 ათასი ჰექტარი საშემოდგომო კულტურები, შარშან ამავე რიცხვისათვის დათესილი იყო 10.715 ათასი ჰექტარი.

მზრალად მოხნულია საბჭოთა კავშირში 1.265 ათასი ჰექტარი, შარშან კი მოხნული იყო 2.405 ჰექტარი. რაიონები, რომელთაც დაამთავრეს მკა, სულტად აჩადებენ მუშაობას მზრალად ხვნისთვის. ასე, მაგალითად, უკრაინამ მზრალად ხვნის გეგმა 8 პროცენტით შეასრულა, ორჯონიკიძის მხარემ და ვორონეჟის ოლქმა — 2 პროცენტით.

სამიწათმოქმედო ორგანოთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მინდვრის ყველა სამუშაოს შესრულება დაწესებულ ვადებზე.

ზეიმი ხაშურში

ხაშურის ელექტროფიცირებული უბნის ხუთი წლისთავი

ამიერკავკასიის რკინიგზის სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხი წამოჭრილი იყო 20-30 წლის წინათ. მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი.

ამხ. ლ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით და ყოველდღიური მზრუნველობით 1932 წლის აგვისტოში დამთავრდა ხაშურის ელექტროდეპოს მშენებლობა და დაიწყო ელექტროფიცირებული უბნის ექსპლოატაცია. ხუთი წლის წინათ ფაშისტური იტალიიდან სურაამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოებზე მოწვეული ინჟინერები ცინიკურად „არწმუნებდნენ“ ჩვენი რკინიგზის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, სულ ერთია, თქვენ ვერ მოუვლით ელმავლებს და ვერც დაეუფლებით საამისო ტექნიკას... მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდნენ. პრაქტიკულმა გამოცდილებამ სულ სხვა გვიჩვენა: მუშები, რომელთაც არასოდეს არ ენახათ ელექტრომავლები და არ იყვნენ შეჩვეულნი მათს ექსპლოატაციას მალე საუკეთესოდ დაეუფლნენ უღელტეხილის ელექტროფიკაციის რთულ ტექნიკას.

ხალხის მტრები — როზენცვეიგი, ყორყოლაძე, ხუდადოვი, შუბლაძე და სხვები ეწეოდნენ მავნებლობას რკინიგზაზე, ცდილობდნენ ჩაეშალათ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილება, გაეძნელებინათ ელექტროფიკაციის მუშაკებისათვის ტექნიკის ათვისება და დაენერგათ უთმენობა საბჭოთა ქარხნებში დამზადებული ელექტრომავლების ვარგისობაზე. მაგრამ ხუთი წლის დაუღალავი ბოლშევიკური ბრძოლით მიღწეულ იქნა შესანიშნავი შედეგი.

დღეს გვყვანან სახელოვანი მემანქანე სტახანოველები, რომლებმაც გადააჭარბეს უცხოეთის ელექტრომავლების გამოყენების ნორმებს. ასეთებია ორდენოსანი სერგო, კურტანიძე, გაფრინდაშვილი, ფრანჩუკი, ბოხუა და სხვა მრავალი.

მტკიცედ ტარდება დიდი სტალინის მითითება ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურების შესახებ. მაგალითად, დაწინაურდნენ საუკეთესო მომუშავეები კურტანიძე, (ელდეპოს ეფრ. მოადგ.), კაკაბაძე, გაგნიძე, პაიჭაძე, მიქაშავიძე, პასკურინი, ანდღულაძე და სხვები.

○

განვლილი ხუთი წლის ბოლშევიკურ ბრძოლაში მიღწეულ გამარჯვებათა აღსანიშნავად 29 აგვისტოს საღამოს ხაშურის რკინიგზელთა კლუბში მოწვეულ იქნა საზეიმო კრება, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

კრება გახსნა ელდეპოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. შალვა ურუშიძემ. საპატიო პრეზიდიუმში ამხანაგ სტალინის დასახელებას მთელი კრება მქუხარე ტაშით და „ვიდას“ ძახილით შეხვდა. საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა, აგრეთვე ამხანაგები ტელმანი, დიმიტროვი, ჰოჯი დაისი, ეფორი, მეჟლაუკი და ლ. ბერია.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ინჟ. ი. ქარუმიძე (ბერიას სახელობის ელდეპოს უფროსი), ა. მდივნიშვილი (ა.-კ. რკინიგზის ხაშურის პოლიტგანყოფილების უფროსი), მ. კიკნაძე (ა.-კ. რკინიგზის სამმართველო), ვ. ბეშიძე (საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი).

ამხ. ბეშიძემ თავის სიტყვაში ელექტროფიცირებული რაიონის მუშაკთა უდიდეს მიღწევებთან ერთად აღნიშნა ნაკლი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული: დაპოზი წუნი, გზებზე — ავარიები, სადგურებზე — ელექტრომავლების ზშირი მოცდენა და სხვ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ჯორბენაძე (ა.-კ. რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე), კ. მაჭაშვიძე (ელდეპოს მუშა), თამარ თამრაზოვა (ა.-კ. რკინიგზის ელექტროსამმართველო), ელიკაშვილი (ენერგო-მთრაგება), თამრაზოვი (ა.-კ. რკინიგზის ელექტროფიკაციის სამმართველოს უფროსი), რომელმაც სახელით კრებას გააცნო ელექტროფიცირებული უბნის დაჯილდოვებულ მუშათა სია.

საზეიმო კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგ სტალინს და ლ. ბერიას.

გ. გ.

◇

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ციცუნია ტეხურის ჭალაშია“!

„კომუნისტის“ 15 აგვისტოს ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებულ კორესპონდენციაზე, რომელიც ეხებოდა ჩვენი რაიონის სოფ. ლესიჩინეს მცხოვრებს ობოლ ციცა ბათის ასულ სიჭინავას, გაცნობებთ შემდეგს: კორესპონდენციის შინაარსი დადასტურდა. ყოფ. მეურვე პეტრე სიჭინავას მისთვის ჩაბარებული ობლის ქონება ჩამოერთვა, მეურვის სიძე ბალათურია, რომელიც თვითნებურად ჩასახლდა ობლის ეზოში, გამოსახლებულია.

ამჟამად ობოლ ციცა სიჭინავას მეურვედ დაინიშნა ბიძა-მისი ისიდორე პეტრეს-ძე სიჭინავა, რომელსაც ხელწერილ ქვეშ ჩაბარდა ობლის ქონება. ციცა სიჭინავა ამჟამად იმყოფება ცხაკაიას საბავშვო სახლში. ყოფ. მეურვე პეტრე ბიტუს-ძე სიჭინავა მიცემულია პასუხისგებაში.

ჩხოროწყუს რაიონალმასკომის თავმჯდომარე: ა. ჯიჭია

ახალგაზრდა პილოტები

თბილისის აეროკლუბი ეწევა დიდ მუშაობას ახალგაზრდობის ჩასაშრეთად ავიამოდელისტების, პლანერისტებისა და პილოტების რიგებში.

სურათზე: ახალგაზრდა ავიამოდელისტი-მოწაფე სპირიდონოვი თვითმფრინავის მოდელით, ქვემოთ — პილოტი-პარაშუტისტი ზოია ჩერნეკოვა.

ფოტო ლინგისა.

ზეიმი ხაშურში

ხაშურის ელექტროფიცირებული უბნის ხუთი წლისთავი

ამიერკავკასიის რკინიგზის სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხი წამოჭრილი იყო 20-30 წლის წინათ. მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი.

ამხ. ლ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით და ყოველდღიური მზრუნველობით 1932 წლის აგვისტოში დამთავრდა ხაშურის ელექტროდეპოს მშენებლობა და დაიწყო ელექტროფიცირებული უბნის ექსპლოატაცია. ხუთი წლის წინათ ფაშისტური იტალიიდან სურაამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოებზე მოწვეული ინჟინერები ცინიკურად „არწმუნებდნენ“ ჩვენი რკინიგზის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, სულ ერთია, თქვენ ვერ მოუვლით ელმავლებს და ვერც დაეუფლებით საამისო ტექნიკას... მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდნენ. პრაქტიკულმა გამოცდილებამ სულ სხვა გვიჩვენა: მუშები, რომელთაც არასოდეს არ ენახათ ელექტრომავლები და არ იყვნენ შეჩვეულნი მათს ექსპლოატაციას მალე საუკეთესოდ დაეუფლნენ უღელტეხილის ელექტროფიკაციის რთულ ტექნიკას.

ხალხის მტრები — როზენცვეიგი, ყორყოლაძე, ხუდადოვი, შუბლაძე და სხვები ეწეოდნენ მავნებლობას რკინიგზაზე, ცდილობდნენ ჩაეშალათ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილება, გაეძნელებინათ ელექტროფიკაციის მუშაკებისათვის ტექნიკის ათვისება და დაენერგათ უთმენობა საბჭოთა ქარხნებში დამზადებული ელექტრომავლების ვარგისობაზე. მაგრამ ხუთი წლის დაუღალავი ბოლშევიკური ბრძოლით მიღწეულ იქნა შესანიშნავი შედეგი.

დღეს გვყვანან სახელოვანი მემანქანე სტახანოველები, რომლებმაც გადააჭარბეს უცხოეთის ელექტრომავლების გამოყენების ნორმებს. ასეთებია ორდენოსანი სერგო, კურტანიძე, გაფრინდაშვილი, ფრანჩუკი, ბოხუა და სხვა მრავალი.

მტკიცედ ტარდება დიდი სტალინის მითითება ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურების შესახებ. მაგალითად, დაწინაურდნენ საუკეთესო მომუშავეები კურტანიძე, (ელდეპოს ეფრ. მოადგ.), კაკაბაძე, გაგნიძე, პაიჭაძე, მიქაშავიძე, პასკურინი, ანდღულაძე და სხვები.

○

განვლილი ხუთი წლის ბოლშევიკურ ბრძოლაში მიღწეულ გამარჯვებათა აღსანიშნავად 29 აგვისტოს საღამოს ხაშურის რკინიგზელთა კლუბში მოწვეულ იქნა საზეიმო კრება, რომელსაც მოწვეულ იქნა საზეიმო კრება, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

კრება გახსნა ელდეპოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. შალვა ურუშიძემ. საპატიო პრეზიდიუმში ამხანაგ სტალინის დასახელებას მთელი კრება მქუხარე ტაშით და „ვიდას“ ძახილით შეხვდა. საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა, აგრეთვე ამხანაგები ტელმანი, დიმიტროვი, ჰოჯი დაისი, ეფორი, მეჟლაუკი და ლ. ბერია.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ინჟ. ი. ქარუმიძე (ბერიას სახელობის ელდეპოს უფროსი), ა. მდივნიშვილი (ა.-კ. რკინიგზის ხაშურის პოლიტგანყოფილების უფროსი), მ. კიკნაძე (ა.-კ. რკინიგზის სამმართველო), ვ. ბეშიძე (საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი).

ამხ. ბეშიძემ თავის სიტყვაში ელექტროფიცირებული რაიონის მუშაკთა უდიდეს მიღწევებთან ერთად აღნიშნა ნაკლი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული: დაპოზი წუნი, გზებზე — ავარიები, სადგურებზე — ელექტრომავლების ზშირი მოცდენა და სხვ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ჯორბენაძე (ა.-კ. რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე), კ. მაჭაშვიძე (ელდეპოს მუშა), თამარ თამრაზოვა (ა.-კ. რკინიგზის ელექტროსამმართველო), ელიკაშვილი (ენერგო-მთრაგება), თამრაზოვი (ა.-კ. რკინიგზის ელექტროფიკაციის სამმართველოს უფროსი), რომელმაც სახელით კრებას გააცნო ელექტროფიცირებული უბნის დაჯილდოვებულ მუშათა სია.

საზეიმო კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგ სტალინს და ლ. ბერიას.

გ. გ.

◇

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ციცუნია ტეხურის ჭალაშია“!

„კომუნისტის“ 15 აგვისტოს ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებულ კორესპონდენციაზე, რომელიც ეხებოდა ჩვენი რაიონის სოფ. ლესიჩინეს მცხოვრებს ობოლ ციცა ბათის ასულ სიჭინავას, გაცნობებთ შემდეგს: კორესპონდენციის შინაარსი დადასტურდა. ყოფ. მეურვე პეტრე სიჭინავას მისთვის ჩაბარებული ობლის ქონება ჩამოერთვა, მეურვის სიძე ბალათურია, რომელიც თვითნებურად ჩასახლდა ობლის ეზოში, გამოსახლებულია.

ამჟამად ობოლ ციცა სიჭინავას მეურვედ დაინიშნა ბიძა-მისი ისიდორე პეტრეს-ძე სიჭინავა, რომელსაც ხელწერილ ქვეშ ჩაბარდა ობლის ქონება. ციცა სიჭინავა ამჟამად იმყოფება ცხაკაიას საბავშვო სახლში. ყოფ. მეურვე პეტრე ბიტუს-ძე სიჭინავა მიცემულია პასუხისგებაში.

ჩხოროწყუს რაიონალმასკომის თავმჯდომარე: ა. ჯიჭია

ახალგაზრდა პილოტები

თბილისის აეროკლუბი ეწევა დიდ მუშაობას ახალგაზრდობის ჩასაშრეთად ავიამოდელისტების, პლანერისტებისა და პილოტების რიგებში.

სურათზე: ახალგაზრდა ავიამოდელისტი-მოწაფე სპირიდონოვი თვითმფრინავის მოდელით, ქვემოთ — პილოტი-პარაშუტისტი ზოია ჩერნეკოვა.

ფოტო ლინგისა.

მეგრული ეთნოგრაფიული გუნდის გასვრილები

საქართველოს ხელოვნების მთავარ სამმართველოსთან არსებული საგუნდო გაერთიანების ინიციატივით, თბილისში იმართება ცხაკაიის რაიონის მეგრული ეთნოგრაფიული გუნდის კონცერტები ამხ. რემა შელეგიას ხელმძღვანელობით.

დღეს, 2 სექტემბერს, გუნდი გამართავს კონცერტს საქფილგეთის საზაფხულო შენობაში. გუნდში შედის მეჩონგური ქალთა ანსამბლი 17 დამკვრელის შემადგენლობით.

რემა შელეგია

სამეგრელოს ეთნოგრაფიული გუნდის ლოტბარი.

○

ლობით. გუნდი ასრულებს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხურ სიმღერებს და ცეკვას. გუნდის შემადგენლობა 60 ქალ-ვაჟით განისაზღვრება.

გუნდის დიდი დამსახურება იმაშია მდგომარეობს, რომ იგი ხალხურ სიმღერებს, როგორც ჩონგურის აკომპანიმენტით, ისე „კაპელა“, ასრულებს ხალხური კოლორიტის დაცვით. გუნდის რეპერტუარი მრავალფეროვანია: განსაკუთრებით საინტერესოა გუნდის ასრულებული მეგრული სიმღერები.

მეჩონგურე ქალს ხომ ყველგან პატივს სცემენ და ოსტატურად გუნდის ასრულებს მეგრულ სიმღერებს.

მეჩონგურეობა მეგრელ ხალხში ძველად მოსწონთ ხელი და ოსტატობა სენაკის ცხობილი მეჩონგურე ქალის ამბ. დოდო ბერიძისაგან.

მეგრული სიმღერებს უფრო ლირიკა ახასიათებს. ამას მოწმობს სიმღერები: „ჩონგურული“, „ჩელა“, „ვოისა“ „სიქოლოდ ბატა“ და სხვ. გუნდი განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებს ჩონგურულს; ეს არის ჩონგურისადმი მიძღვნა, მუნჯური სიმღერა, სადაც გუნდის ხელოვნებით შელეგია ჩვეული ოსტატობით ასრულებს დამღერებას.

უნდა ითქვას, რომ ეს რაიონული ეთნოგრაფიული გუნდი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს; ის საკმაოდ კარგად არის ჩამკვლულ-დახურული. გუნდს ეძინება რაიონული ორგანიზაციების მზრუნველობა და ყურადღება, რაც უთუოდ მისასალმებელია.

ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში აღიძრა რემა შელეგიას ხალხური სიმღერებისადმი ლტოლვა. პირველად ქუთაისში, მეუნაგრესთან შეგირდობის დროს, ეცნობა იგი ორდენოსახი კომპოზიტორის, მაშინ ახალგაზრდა კოტე ფოცხვერაშვილის გუნდებსაც ჰბაძავს მას და აარსებს პატარა სასიმღერო ერთეულებს. ეს ერთეულები მონაწილეობენ დიდი არტისტის ლადო მესხიშვილის მეთაურობით ქუთაისში არსებულ თეატრის დადგმებში, მღერიან 1905 წლის დემონსტრაციებში მარსელიოზას და სხვა რევოლუციურ და საგმირო სიმღერებს. 1906 წლიდან ამხ. შელეგია გადადის სოხუმში, სადაც სახალხო ლოტ